

თავი - 7

პროფესიალური დანახარჯების მიმულების სისტემის დამატებითი ასპექტები

შენაპარსი

- ❖ შეკვეთასა და პროცესზე დანახარჯების მიკუთვნება;
- ❖ პროდუქტის დანახარჯების მიკუთვნების სისტემის მირითადი ტიპები;
- ❖ პროდუქტის გაანგარიშებული ეკვივალენტი;
- ❖ პირდაპირი დანახარჯები ნედლეულსა და მასალებზე;
- ❖ პირდაპირი დანახარჯების გაზომვა;
- ❖ პირდაპირი და ცელადი დანახარჯები;
- ❖ არაპირდაპირი დანახარჯების მიკუთვნება;
- ❖ დანახარჯების მიკუთვნების ბუნება;
- ❖ დანახარჯთა მიკუთვნების ცენტრები;
- ❖ ზედნადები სარჯების კოუფიციენტების გამოთვლა;
- ❖ ზედნადები დანახარჯების შთანთქმის დანაკლისი / სიჭარბე;
- ❖ კომბინირებული და თანმდევი პროდუქტები:

წინამდებარე თავში აღწერილია პროდუქციაზე დანახარჯების მიკუთვნების სააღრიცხვო სისტემების ორი ძირითადი ტიპი:

- 1) შეკვეთაზე დანახარჯების მიკუთვნების; და
- 2) პროცესზე დანახარჯების მიკუთვნების სისტემები;

უფრო დეტალურად განიხილება პირდაპირი მატერიალური დანახარჯებისა და სამუშაო ძალაზე პირდაპირი დანახარჯების განსაზღვრებები; არაპირდაპირი დანახარჯების ამა თუ იმ ობიექტზე მიკუთვნებული წილის განსაზღვრის მეთოდები. ახსნილია, საიდან მოდის ბუღალტრულ გატარებებში ასახული მონაცემები. როგორც წინა თავში, ეს სისტემები და მეთოდები მოცემული იქნება სამრეწველო კომპანიის მაგალითზე. ეს ნაწილობრივ იმით აიხსნება, რომ მაგალითი ნივთობრივი ფორმის მქონე ნაკეთობაზე უფრო თვალსაჩინოა, გარდა ამისა, არასაწარმოო სფეროში გამოყენებული კონცეფციები და მეთოდები, პრაქტიკულად, განსახილველის ანალოგიურია.

7 . 1 . შეპვეთასა და პროცესზე დანახარჯების მიკუთვნება

საწარმოო პროცესები. მათი კლასიფიკაცია შესაძლებელია შემდეგნაირად: ერთეული პროდუქციის წარმოება, მცირესერიული წარმოება, ნაკადური წარმოება, უწყვეტი წარმოება.

ერთეული პროდუქციის წარმოება – ეს გარკვეული შეკვეთის შესრულებაა, მაგალითად ინდივიდუალური პროექტით სახლის მშენებლობა, კლიენტისათვის კონსულტაციის გაწევა.

მცირესერიული წარმოება – ეს მსგავსი ნაკეთობების (მაგალითად, 100 კარბურატორის) გამოშვებაა (პარტიის), რომლებიც თანმიმდევრულად მუშავდება საწარმოს ერთ ქვედანაყოფში, შემდეგ კი პარტიის სახით გადაეცემა შემდეგ ქვედანაყოფს.

ნაკადურ (ან კიდევ, როგორც მას ეძახიან – კონვეირულ) წარმოებაში შეიძლება გამოვყოთ ცალკეული პროდუქტი, მაგრამ ისინი პრაქტიკულად ერთნაირებია და საერთო ნაკადით მიდის; ასეთია, ჩვეულებრივ, ავტომობილების, კომპიუტერების, მაცივრების წარმოება.

უწყვეტი წარმოების დროს არ შეიძლება ფიზიკურად გამოვყოთ პროდუქციის ერთეული (ცალკეული ნაკეთობა), ყველა შერწყმულია უწყვეტ პროცესში – ნავთობქიმიური მრეწველობა, სამთომომჰვებელი, მეტალურგიული და ა.შ.

ნებისმიერი სხვა კლასიფიკაციის მსგავსად, ზღვარი ჩამოთვლილ კატეგორიებს შორის პირობითია. საწარმოო პროცესების უმეტესი ნაწილი შეიძლება განვათავსოთ სადღაც, ერთეული პროდუქციის წარმოებასა და სუფთა უწყვეტ წარმოებას შორის.

გასაშუალოება. პროდუქციის ერთეულის მთლიანი საწარმოო თვითღირებულების გამოვლა გარკვეულ სიმნილეებთან არის დაკავშირებული. ზოგადი დანახარჯი (მაგალითად, უბნის ოსტატის ხელფასი) დაახლოებით ერთ დონეზეა წარმოების მოცულობის ყოველთვიური ცვლილების მიუხედავად. როგორ უნდა გავანაწილოთ ასეთი მუდმივი დანახარჯები, თუკი დანახარჯების მიკუთვნების ბაზა ცალკეული ნაკეთობისათვის ცვალებადია. მსგავსი პრობლემა წარმოიშობა შრომის პირდაპირი დანახარჯების ცალკეულ ნაკეთობაზე მიკუთვნებისას. მაგალითად, ავტომობილების ასაწყობ

კონვეირზე მუშას დაახლოებით ერთი წუთი აქვს სათანადო ოპერაციის შესასრულებლად. ეს დრო აშენად არასაკმარისია იმისათვის, რომ მუშამ ავტომანქანის შასის ნომერი და ამ ავტომობილთან ოპერაციის დაწყების და დამთავრების დრო ჩაინიშნოს, ე.ი. შეუძლებელია ზუსტად განისაზღვროს ამ კონკრეტულ მანქანაზე სამუშაო დროის დანამდვილებითი დანახარჯი და შესაბამისად მოცემულ ავტომანქანაზე მისაკუთვნებული სამუშაო ძალის პირდაპირი დანახარჯი.


პროდუქციაზე დანახარჯების მიკუთვნების სისტემა ამ სიმნელებს გვერდს უვლის დანახარჯების საერთო თანხის ერთეული პროდუქციის რიცხვზე გაყოფით და საშუალო მონაცემების განსაზღვრის გზით. პროდუქციაზე დანახარჯების მიკუთვნების სისტემის ქვემოთ აღწერილი დეტალების განხილვისას უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ საქმე გვაქვს გასაშუალოებულ მონაცემებთან.

7 . 2 . პროდუქციაზე დანახარჯების მიკუთვნების სისტემის ძირითადი ტიპები.

აღრიცხვაში პროდუქციაზე დანახარჯების მიკუთვნების სისტემის ორი ძირითადი ტიპი არსებობს:

- 1) შეკვეთაზე დანახარჯების მიკუთვნების სისტემა.
- 2) პროცესზე დანახარჯების მიკუთვნების სისტემა.

სქემა 1. საწარმოო პროცესების დიაპაზონი



შეკვეთაზე დანახარჯების მიკუთვნების სისტემა – გამოიყენება ორგანიზაციებში, რომლებიც დაკავებულია საცალო ან მცირესერიული წარმოებით;

პროცესზე დანახარჯების მიკუთვნების სისტემა – ხშირად უკავშირდება ნაკადურ და უწყვეტ წარმოებას.

თითოეულ სისტემას თავისი მახასიათებელი ნიშნები აქვს. თუმცა პრაქტიკაში გამოიყენებულ სისტემებს შეიძლება ჰქონდეთ სისტემის დამახასიათებელი ნიშნები.

მთავარია, რომ შეკვეთაზე დანახარჯების მიკუთვნების სისტემა განსაზღვრავს დანახარჯებს თითოეულ გამოყოფილ შეკვეთაზე ან პროდუქციის ერთეულზე – მათ მიერ საწარმოო პროცესის გავლის შესაბამისად, იმ საანგარიშო პერიოდის მიუხედავად, რა პერიოდშიც სრულდება სამუშაო. პროცესზე დანახარჯების მიკუთვნების სისტემა განსაზღვრავს დანახარჯებს საანგარიშო პერიოდის მიხედვით. ამ დროს ერთეული პროდუქციის თვითდირებულებას პოულობენ დანახარჯების საერთო თანხის გაყოფით ამ პერიოდში წარმოებული პროდუქციის რაოდენობაზე.

შეკვეთაზე დანახარჯების მიკუთვნების სისტემა ეფუძნება - შეკვეთის მიხედვით დანახარჯების აღრიცხვას - მიუხედავად პერიოდისა.

პროცესზე დანახარჯების მიკუთვნების სისტემა ეფუძნება - პერიოდის მიხედვით დანახარჯების აღრიცხვას - მიუხედავად ნაკეთობისა.

7 . 2 . 1 . შეკვეთაზე დანახარჯების მიკუთვნების სისტემა.

შეკვეთა, როგორც ასეთი, დანახარჯების მიკუთვნების სისტემაში შეიძლება შედგებოდეს ერთეული ნაკეთობის (მაგალითად, ავეჯი ან სახლი) ან ერთი შეკვეთის მიხედვით წარმოებული ერთგვაროვანი ნაკეთობების პარტიისგან (მაგალითად, წიგნის 10'000 ეგზემპლარიანი ტირაჟი, 120 წყვილი ფეხსაცმელის შეკერვა). თითოეულ შეკვეთას თავისი ნომერი ენიჭება და სარეგისტრაციო ბარათში შეკვეთაზე დანახარჯები ამ ნომრით შეიტანება. დანახარჯების რეგისტრირება (ჩაწერა; დაფიქსირება) ნაკეთობის მიერ საწარმოო სტადიების გავლის თანმიმდევრულად ხდება; ეს სტადიები, ჩვეულებრივ, გარკვეულ სტრუქტურულ ქვედანაყოფებს (განყოფილებებს, საამქროებს) შეესაბამება.

წარმოებულ ნაკეთობაზე დანახარჯების რეგისტრაციის ბარათი ნაჩვენებია მე-2 სქემაზე.

სქემა 2.

შეკვეთაზე დანახარჯების რეგისტრაციის ბარათი

პროდუქტია №607		შეკვეთა №2270			
მუშაობის დაწყების თარიღი: 28.03		მუშაობის დამთავრების თარიღი: 12.04			
პროდუქციის საწყისი რაოდენობა: 0		პროდუქციის საბოლოო რაოდენობა: 100			
პერიოდი	სამქრო №	დანახარჯები (ლარებში)			დანახარჯების ნაზარდი ჯამი
		პირდაპირი		საერთო სამუშაო დანახარჯი	
		ნედლეული და მასალები	სამუშაო ძალა		
მარტი 31	12	642,00	108,00	108,00	858,00
აპრილი 7	12		222,00	222,00	1'302,00
7	16		200,00	160,00	1'662,00
14	16		250,00	200,00	2'112,00
სულ		642,00	780,00	690,00	2'112,00
დანახარჯები პროდუქციის ერთეულზე		6,42	7,80	6,90	21,12

ნედლეულსა და მასალებზე პირდაპირი დანახარჯების ბარათში შეტანილი თანხა №2270 შეკვეთისთვის გამოყენებული მასალების რაოდენობითა და ფასებით განისაზღვრება. სამუშაო ძალაზე პირდაპირი დანახარჯები გამოითვლება კაც-საათის იმ რაოდენობის საფუძველზე, რომელიც მუშებმა №2270 შეკვეთის შესრულებისას გამოიმუშავეს. საერთო სამუშაო ზარჯები გამოითვლება საამქროს კოეფიციენტების მეშვეობით, რომელსაც ქვემოთ განვიხილავთ. დანახარჯების რეგისტრაციის ბარათის მონაცემებით საერთო სამუშაო ზარჯების განაწილების ბაზად გამოყენებულია სამუშაო ძალის დანახარჯი და

კოეფიციენტი სამუშაო ძალის პირდაპირ დანახარჯებზე მაგალითად: №12 საამქროსთვის 100%-ს შეადგინ (108,00 * 100% = 108); №16 საამქროსთვის – 80%-ს (200,00 * 80% = 160). დანახარჯების მიკუთვნების ობიექტი – №2270 შეკვეთა – მოიცავს 100 ერთეულ №607 ნაკეთობას, ამიტომ ერთეული პროდუქციის თვითღირებულების გამოთვლისთვის აუცილებელია შეკვეთაზე დანახარჯების მთლიანი თანხა 100-ზე გავანაწილოთ; ამგვარად მიღებული სიდიდეები შეაქვთ სარეგისტრაციო ბარათში.

ბუღალტრული აღრიცხვის თვალსაზრისით (დავუბრუნდეთ მე-6 თავის მე-2 სქემას) სარეგისტრაციო ბარათში ასახული დანახარჯების თანხა მიეკუთვნება “დაუმთავრებელი წარმოების” ანგარიშის დებეტსა და შესაბამისად “ნედლეულისა და მასალების”, “შრომის ანაზღაურების დავალიანების” და “საერთო სამეურნეო ხარჯების” ანგარიშების კრედიტებს (№ 2, 3 და 6 გატარებები). შეკვეთის შესრულებისას ბარათში ასახული დანახარჯების საერთო თანხა “დაუმთავრებელი წარმოების” ანგარიშიდან “სასაქონლო-მატერიალური მარაგის” (მზა პროდუქციის) ანგარიშზე გადადის (გატარება 7), და პროდუქციის გაყიდვის დროს “სასაქონლო-მატერიალური მარაგის” ანგარიშიდან ჩამოიწერება და “რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების” ანგარიშზე გადატანება (გატარება 8). ამგვარად, საანგარიშო პერიოდის ბოლოს, შესრულების პროცესში მყოფი შეკვეთის დანახარჯების ბარათებზე ასახული საერთო თანხა, ამ თარიღისათვის “დაუმთავრებელი წარმოების” ანგარიშის ჯამური სალდოს ტოლი იქნება.

მომსახურების დანახარჯების აღრიცხვისას ზოგიერთი საკონსულტაციო კომპანია, სარემონტო სახელოსნო და სხვა საწარმოები არ იყენებენ “მზა პროდუქციის” მარაგის ანგარიშს. როდესაც შეკვეთა შესრულებულია და კლიენტს წარედგინება ანგარიში, აკეთებენ გატარებას: დებეტი “რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება” – კრედიტი “დაუმთავრებელი წარმოება” (ნაცვლად “რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებისა” ზოგჯერ იყენებენ დასახელებას – “რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება”).

7 . 2 . 2 . პროცესზე დანახარჯების მიმათვალის სისტემა.

პროცესზე დანახარჯების მიკუთვნების სისტემაში საანგარიშო პერიოდის (მაგალითად, თვე) ყველა საწარმოო ხარჯი გროვდება ანგარიშზე – “დაუმთავრებელი წარმოება”: დანახარჯები აღრიცხული არ არის თითოეული ნაკეთობის ან პროდუქციის პარტიის მიხედვით, მაგრამ ხდება ამ პერიოდში წარმოებაში მყოფი პროდუქციის რაოდენობის აღრიცხვა. ერთეული პროდუქციის დანახარჯების საშუალო სიდიდე მიიღება დანახარჯების საერთო თანხის გაყოფით წარმოებული პროდუქციის რაოდენობაზე და ამით განისაზღვრება ერთეული პროდუქციის თვითღირებულება. იგი ასახება გატარებების დროს “დაუმთავრებელი წარმოების” ანგარიშიდან “სასაქონლო-მატერიალური მარაგის” (“მზა პროდუქციის”) ანგარიშზე და შემდგომ გატარებებში “სასაქონლო-მატერიალური მარაგის” ანგარიშიდან “რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების” ანგარიშზე.

7 . 3 . პროდუქციის გაანგარიშებული ეპვიგალენტი.

პროდუქციაზე დანახარჯების მიკუთვნების სისტემაში ცალკე პრობლემაა – საანგარიშო პერიოდის ბოლოს დაუმთავრებელ პროდუქციაზე დანახარჯების მიკუთვნება.

დაუმთავრებელი პროდუქცია არ შეიძლება მივიჩნიოთ როგორც მზა, რამდენადაც მასზე გაწეულია დანახარჯების მხოლოდ ნაწილი. პრობლემის გადაჭრას ემსახურება პროდუქციის ერთეულის გაანგარიშებული ექვივალენტი, ე.ი მზა პროდუქციის ექვივალენტი.

დაუმთავრებელი წარმოების ანგარიშზე პროდუქციის ექვივალენტი რომ იპოვონ, ხშირად მიმართავენ დაშვებას, რომ საანგარიშო პერიოდის ბოლოს დაუმთავრებელი პროდუქცია მზად არის 50%-ით. ამგვარად, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში წარმოებული პროდუქციის გაანგარიშებული ექვივალენტის განსაზღვრისათვის:

- 1) მზა ნაწარმის საწყობზე გადაცემული ან გადატვირთული მზა პროდუქცია გაითვალისწინება კოეფიციენტით 1;
- 2) საანგარიშო პერიოდის ბოლოს დაუმთავრებელი პროდუქციის რაოდენობა მრავლდება შემასწორებელ კოეფიციენტზე 0,5;
- 3) სიდიდეები, რომლებიც მიღებულა (1) და (2) ოპერაციების შედეგად, იკრიბება;

მიღებული შედეგი წარმოადგენს საანგარიშო პერიოდში წარმოებული პროდუქციის რაოდენობის გაანგარიშებულ ექვივალენტს.

მაგალითი:

მასში, ქარხანაში საწარმოო დანახარჯებმა 60,600 ლარი შეადგინა. “დაუმთავრებელი წარმოების” ანგარიშის საწყისი სალფო 1 მაისისათვის 12,000 ლარი იყო. თვის განმავლობაში გამოშვებული იქნა 2450 ცალი მზა პროდუქცია, რის შესახებაც “დაუმთავრებელი წარმოების” ანგარიშიდან “სასაქონლო-მატერიალური მარავის” (“მზა პროდუქციის”) ანგარიშზე გაკეთდა შესაბამისი ბურალტრული გატარება. 31 მაისისათვის “დაუმთავრებელი წარმოების” ანგარიშზე 550 გაანგარიშებული ნაკეთობა (1,100 ნახევრად მზა ნაკეთობა) იყო. ამგვარად, მაისის თვის განმავლობაში წარმოებული იქნა 3,000 (2,450+550) გაანგარიშებული ექვივალენტის ნაკეთობა. ეს ნიშნავს, რომ მასში წარმოება ტოლი იყო იმ დანახარჯების ჯეამისა, რომელიც აუცილებელია “ზულიდან” 3,000 მზა ნაკეთობის დასამზადებლად.

მაკიუთ კურადღება, თუ როგორ ნაწილდება “დაუმთავრებელი წარმოების” ანგარიშის საწყისი სალფოს და მასში საწარმოო დანახარჯების ჯეამი – 72,600 ლარი – “სასაქონლო-მატერიალური მარავის” (“მზა პროდუქციის”) ანგარიშსა და “დაუმთავრებელი წარმოების” ანგარიშის საბოლოო სალფოს შერის. პირველ რიგში განსაზღვრავენ ერთეული პროდუქციის გაანგარიშებული ექვივალენტის საშუალო თვითორიტებულებას. ამ თვითორიტებულების საფუძველზე (24,20 ლარი) გაიანგარიშებენ სიღიღეს, რომელიც გადაიტანება “სასაქონლო-მატერიალური მარავის” (“მზა პროდუქციის”) ანგარიშზე (59,290 ლარი) და თვის ბოლოს დაუმთავრებელი წარმოების სიღიღეს (13,310 ლარი).

პროდუქციის გაანგარიშებული ექვივალენტის კალკულაცია

- a. საწყისი მონაცემები – მაისი (პროცესი დაწყო აპრილში, მავრამ არც ერთი პროდუქტი არ დამთავრებულა)

	პროდუქტის ერთეული	ფულად გამოსახულებაში (ლარებში)
“დაუმთავრებელი წარმოების” ანგარიშის საწყისი საღლო	—	12'000
“ძირითადი წარმოება”	—	60'600
გადაცემულია მზა პროდუქტის საწყობში (“სასაქონლო- მატერიალური მარავის” (“შზაპროდუქტის”) ანგარიში)	2'450	?
“დაუმთავრებელი წარმოების” ანგარიშის საბოლოო საღლო	1'100	?

პ. წარმოებული პროდუქტის რაოდენობის გაანგარიშებული უჭივალენტის კალკულაცია
წარმოებული პროდუქტის რაოდენობის გაანგარიშებული უჭივალენტი = გამოშვებული
მზა პროდუქტის რაოდენობას + “დაუმთავრებელი წარმოების” ანგარიშის ბოლო
საღლოში ნაკეთობათა რაოდენობის გაანგარიშებული უჭივალენტი:

$$2450 + (0,50 \times 1100) = 3000$$

პ. პროდუქტის ერთეულის (ნაკეთობის) თვითღირებულების კალკულაცია

$$\begin{array}{rcl} \text{პროდუქტის ერთეულის} & = & \text{“დაუმთავრებელი წარმოების”} + \text{საწარმო} \\ \text{თვითღირებულება} & & \text{ანგარიშის საწყისი საღლო} \\ & & \text{დანახარჯები} \\ & & \text{წარმოებული პროდ. რაოდენობის გაანგარიშებული უჭივალო.} \\ & & \\ & & \frac{12000 + 60600}{3000} = 24,20 \text{ (ლარი)} \end{array}$$

“დაუმთავრებელი წარმოების ანგარიში”

ლარებში

საღლო 1 მაისისათვის 12,000	გადაცემულია “სასაქონლო მატერიალური მარავის” (“შზა პროდუქტის”) ანგარიშზე (2450 ნაკეთობა, თითოეული 24,20 ლარად)
საწარმო დანახარჯები მაისის თვეში 60,600	59,290
სულ ბრუნვა 60,600	სულ ბრუნვა 59,290
საღლო 31 მაისისათვის 13,310 (550 ნაკეთობა თითოეული 24,2 ლარად)	

(უფრო ზუსტი ძონაცემების მიღება შეიძლება წარმოებაში მყოფი თითოეული პროდუქტის მზაობის ხარისხის შეფასებით, მაგრამ ეს უფრო მეტ ძალისხმებას მოითხოვს. ზოგიერთი კომპანია კი საერთოდ უგულებელყოფს დაუმთავრებელ წარმოებას და არ აჩვენებს “დაუმთავრებელი წარმოების” ანგარიშის ნაშთს. თუ დაუმთავრებელი წარმოება მცირეა, ან თვიდან თვემდე ერთი და ოგივეა, ასეთ მიღვომას სერიოზულ შეცდომებამდე არ ძიებავართ).

7 . 4 . პირდაპირი დანახარჯები ნედლეულსა და მასალებზე.

ზემოთ მოყვანილი მაგალითი უპირველესად კონვერსიის ხარჯებს ეხება (ე.ო. სამუშაო ძალაზე პირდაპირი დანახარჯების და საერთო საქართო ხარჯების თანხებს). ნედლეულსა და მასალებზე პირდაპირი დანახარჯები შეიძლება განხილული იქნას ცალკე, იმის მიხედვით, თუ როდის ერთვება ის საწარმოო პროცესში. თუ საწარმოო პროცესის განმავლობაში ნედლეული და მასალები თანდათან ერთვება, მაშინ დაუმთავრებელი წარმოების შემადგენლობაში ნედლეულსა და მასალებზე პირდაპირი დანახარჯების მიმართ შეიძლება იგივე 50%-იანი დაშვება გამოვიყენოთ, რომელიც ზემოთ არის აღწერილი. თუ ყველა ნედლეული და მასალა საწარმოო პროცესის დასაწყისშივე ერთვება, მაშინ მათზე დანახარჯები ცალკე გამოითვლება და საანგარიშო პერიოდის შედეგებში, ნედლეულსა და მასალებზე დანახარჯების თვალსაზრისით, დაუმთავრებელი ნაკეთობები ისე გაითვალისწინება, როგორც მზა პროდუქცია.

მაგალითი:

ნედლეულსა და მასალებზე დანახარჯების აღრიცხვის მიზნით მაისში წარმოებული პროდუქტის რაოდენობის გაანგარიშებული გჭივალენტი ტოლი იქნება მზა პროდუქტის (2'450 ცალი) და 31 მაისისთვის ჯერ კიდევ წარმოებაში მყოფი 1'100 ნაკეთობის ჯამისა; სულ – 3'550 პროდუქტის გაანგარიშებული ერთეული (ნედლეულსა და მასალებზე პირდაპირი დანახარჯების აღრიცხვისთვის ისინი დაუმთავრებელი წარმოების ერთეულები აღდება კოეფიციენტით – 1, რაღაც ვაკეთებთ დაშვებას, რომ ნედლეული და მასალები ვადაეცა წარმოებას დასაწყისშივე მოლიანად. თუკი მასალები წარმოებას თანდათან ვადაეცემოდა, მაშინ დავუშვებდით კოეფიციენტს 0,5). ნედლეულსა და მასალებზე დანახარჯებს, “დაუმთავრებელი წარმოების” ანგარიშის საწყისი სალდოს თანაბმად, დაუმატება მაისის თვეში ნედლეულსა და მასალებზე დანახარჯები, მიღებული თანხა ვაიყოფა პროდუქტის 3'550 გაანგარიშებულ ერთეულზე, რაც პროდუქტის ერთეულის გაანგარიშებულ გჭივალენტზე ნედლეულისა და მასალების საშუალო დანახარჯებს მოვცემს. ამ სიღირდის 2'450-ზე გამრავლებით მივიღეთ ნედლეულისა და მასალების დანახარჯებს მზა პროდუქტიაზე. ხოლო 1'100-ზე გამრავლებით, – ნედლეულისა და მასალების დანახარჯებს საანგარიშო პერიოდის ბოლოს დაუმთავრებელ წარმოებაზე. ამ გამოთვლების შედეგები იკრიბება კონვერსიის დანახარჯების შესაბამის შედეგებთან “სასაქონლო-მატერიალური მარავის” (“მზა პროდუქტის”) ანგარიშზე მიმართული საერთო თანხისა და “დაუმთავრებელი წარმოების” ანგარიშის ბოლო სალდოში ასახული თანხის მისაღებად.

სისტემის არჩევა. საწარმოო პროცესის არსიდან უმეტეს შემთხვევებში ცხადი ხდება – დანახარჯების მიკუთვნების რომელი სისტემის გამოყენება ჯობია: შეკვეთაზე თუ პროცესზე მაგრამ, რამდენადაც პროცესზე დანახარჯების მიკუთვნების სისტემა ნაკლები

რაოდენობის დოკუმენტაციის წარმოებას მოითხოვს, ვიდრე შეკვეთაზე დანახარჯების მიკუთვნების სისტემა, ამიტომ ხშირად პირველს იჩივევნ, იმის და მიუხედავად თუ წარმოებული ნაკეთობები რამდენად განსხვავდება ერთმანეთისაგან.

პრაქტიკაში სისტემების ვარიაციები. სქემატურად ნაკეთობაზე დანახარჯების მიკუთვნების სისტემა ნაჩვენებია წინა თავში. კომპანიები პრაქტიკაში, ფირმის სპეციფიკურ მოთხოვნებზე ორიენტირების გამო, უფრო რთულ სისტემებს იყენებენ. ასე მაგალითად, სინთეზურ ანგარიშს “ნედლეული და მასალები” ჰყოფენ რამდენიმე ანალიზურ ანგარიშად ცალკეული სახეობის მასალების აღრიცხვისათვის; იგივე შეიძლება ვთქვათ “დაუმთავრებელი წარმოების” ანგარიშზეც. თუმცა, ძირითადად, საერთო სტრუქტურა ნარჩუნდება.

7 . 5 . პირდაპირი დანახარჯების გაზოვა

როგორც წინა თავში იყო განსაზღვრული, დანახარჯი პირდაპირია მოცემული ობიექტისათვის, თუ იგი უშუალოდ არის დაკავშირებული მასთან, ან მხოლოდ მან გამოიწვია განსახილველი დანახარჯი. ამრიგად, განვხილოთ დანახარჯი, როგორც პირდაპირი – ნიშავს გვერდებს იმ რესურსების სიდიდის აღნიშვნის საშუალება, რომელიც გამოიყენება უშუალოდ მოცემულ დანახარჯთა ობიექტზე. თუ დანახარჯებსა და ობიექტს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი კიდევ რამდენიმე ობიექტზე ვრცელდება, მაშინ დანახარჯთა ამ ობიექტისათვის განსახილველი დანახარჯები არაპირდაპირი იქნება.

ამ თავში განხილული დანახარჯების მიკუთვნების ობიექტები იყო პროდუქცია. დანახარჯების სხვა ობიექტებისათვის პირდაპირად შეიძლება ჩაითვალოს ზემოთ განსაზღვრულისაგან რამდენადმე განსხვავებული დანახარჯების ელემენტები. მაგალითად, განყოფილების მმართველის თანამდებობრივი სარგო პირდაპირი დანახარჯია კომპანიის განყოფილებისათვის – როგორც დანახარჯების მიკუთვნების ობიექტისათვის; მაგრამ განყოფილების მიერ წარმოებულ პროდუქციათან მიმართებაში – ეს დანახარჯი არაპირდაპირია, ვინაიდან არ არსებობს პირდაპირი და უშუალო კავშირი განყოფილების მმართველის თანამდებობრივ სარგოსა და რომელიმე წარმოებულ ნაკეთობას შორის.

ახლა ვუახლოვდებით პირდაპირი დანახარჯების ორი ძირითადი ტიპის – სამუშაო ძალაზე პირდაპირი დანახარჯებისა და ნედლეულსა და მასალებზე პირდაპირი დანახარჯების – უფრო დეტალურ განხილვას. მიღებული დასკვნები მოქმედია პროდუქციაზე დანახარჯების მიკუთვნებისა და პროცესზე დანახარჯების მიკუთვნების სისტემებისათვის.

7 . 5 . 1 . პირდაპირი დანახარჯები სამუშაო ძალაზე

სამუშაო ძალაზე პირდაპირი დანახარჯების გაზომვას ორი ასპექტი აქვს:

- 1) გამომუშავებული სამუშაო დროის კაც-საათთა რაოდენობის გაზომვა;
- 2) ფასის დადგენა სამუშაო დროის ერთეულზე.

გამომუშავებული სამუშაო დროის კაც-საათთა რაოდენობის გაზომვა შედარებით მარტივია. სამუშაო დროის აღრიცხვის ტაბელში ან სხვა მსგავს დოკუმენტაციაში, აღინიშნება მუშის მიერ თითოეული სახის სამუშაოზე დახარჯული საათების რაოდენობა; თუ მუშას უხდიან

ნარდად წარმოქმული პროცესუალის რაოდენობიდან, მაშინ რეგისტრირდება მის მიერ წარმოქმული პროცესუალის რაოდენობა. აქ არ განვიხილავთ მოცდენების, ზეგეგმიურის და ა.შ. აღრიცხვას, რადგან ეს საკითხები უკვე განხილულია წინა თავებში.

გაცილებით უფრო რთული საკითხია სამუშაო დროის ერთეულზე ფასის დადგენის გადაწყვეტილების მიღება. ამ საკითხს კომპანიები წყვეტენ ინდივიდუალურად შრომითი ბაზრისა და კგალიფიკაციის გათვალისწინებით.

მუკლითი:

დავუშვათ, შეკვეთა სრულდება ოთხ სამქროში თანმიმდევრობით. თითოეულ სამქროში გამომუშავებული კუ-სათები და შრომის ანაზღაურების განაკვეთები მოცემული არის ქვეთ. ჩამოთვლილი მონაცემებიდან გამომდინარე შეიძლება განვსაზღვროთ სამუშაო ძალაშე პირდაპირი დანახარჯების საერთო თანხა.

სამქრო	შეკვეთის შესრულებისას გაქტიურად გამომუშავებული კუ-სათები	შრომის ანაზღაურების სათომრივი განაკვეთი (ლარებში)	პირდაპირი დანახარჯები სამუშაო ძალაშე (ლარებში)
1	2	3	4
1	20	7,00	140,00
2	3	9,50	28,50
3	6	8,80	52,80
4	40	8,00	320,00
შეკვეთის შესრულებისთვის სამუშაო ძალის პირდაპირი დანახარჯების საერთო თანხა			541,30

7 . 5 . 2 . პირდაპირი დანახარჯები ნედლეულსა და მასალებზე.

ნედლეულსა და მასალებზე პირდაპირი დანახარჯების გაზომვას იგივე ორი ასპექტი აქვს:

- ✓ გამოყენებული ნედლეულისა და მასალების რაოდენობა;
- ✓ განზომილების ერთეულის ფასი.

მასალის რაოდენობას, ჩვეულებრივ, მოთხოვნა-განაცხადის მიხედვით განსაზღვრავენ, რომელსაც საამქროებიდან საწყობში აგზავნიან. მასალის ფასის განსაზღვრის პრობლემა სამუშაო დროის ერთეულის ფასის განსაზღვრის ანალოგიურია. ნედლეულისა და მასალების ფასი შეიძლება ავიღოთ მათი შესყიდვის ღირებულებიდან ან შეიძლება მასში ჩავრთოთ მასალების გამოყენებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი: ტრანსპორტირება, შენახვა, ჩატვირთვა-გადმოტვირთვა და სხვა.

როგორც შრომის ანაზღაურების ფონდის ხარჯების შემთხვევაში, კონცეპტუალურად სასურველია, დანახარჯები მასალების გამოყენებაზე, მათი აღრიცხვის დროს, ჩავრთოთ ნედლეულისა და მასალების ფასში. მაგრამ ამან შეიძლება სააღრიცხვო სამუშაოს

მოცულობის ისეთი ზრდა გამოიწვიოს, რომ კომპანიამ ჩათვალოს – “ჩიტი ბრდლვნად არ ღირს”. ამიტომ ბევრი კომპანია მსალების გამოყენებასთან დაკავშირებულ ხარჯებს წარმოადგენს, როგორც საერთო სამეურნეოს.

7 . 6 . პირდაპირი და ცვლადი დანახარჯები.

პრაქტიკაში პირდაპირ და ცვლად დანახარჯებს ხშირად განიხილავენ როგორც სინონიმებს: ბევრი დანახარჯი, რომელიც ნაკეთობასთან მიმართებაში პირდაპირ დანახარჯს წარმოადგენს, ამ ნაკეთობის გამოშვების მოცულობის პირდაპირპროპორციულად იცვლება (ე.ი. წარმოადგენს ცვლადს). ასე მაგალითად, რომელიმე ნაკეთობის წარმოებაზე უშუალოდ დაკავებული მუშების ხელფასი, – პირდაპირი და ცვლადი დანახარჯია.

ანალოგიურად, როგორც ერთმანეთის შემცვლელს, ხშირად გამოიყენებენ ტერმინებს: არაპირდაპირი დანახარჯები – მუდმივი დანახარჯები.

ასეთი მიღვომა არასწორია. ტერმინები განპირობებულია განსხვავებული კონცეფციებით: პირდაპირი და არაპირდაპირი დანახარჯები განისაზღვრება დანახარჯების მიკუთვნების ობიექტთან კავშირში, ხოლო ცვლადი და მუდმივი დანახარჯები – კლასიფიცირდება მოცულობის (წარმოების) შეცვლასთან მიმართებაში მათი ცვლილების ხარისხის მიხედვით.

7 . 7 . პრატიკული დანახარჯების მიპუთვება

7 . 7 . 1 . განსხვავებები პირდაპირ და პრატიკული დანახარჯებს შორის.

დანახარჯის ობიექტისათვის უმჯობესია, თუ დანახარჯების ელემენტი კლასიფიცირებული იქნება როგორც პირდაპირი, და არა როგორც არაპირდაპირი: პირდაპირი დანახარჯები უშუალოდ მიეკუთვნება ობიექტს იმ დროს, როცა არაპირდაპირი დანახარჯების მიკუთვნება უფრო რთული და ნაკლებ ზუსტი პროცესია. როგორც არ უნდა იყოს, არაპირდაპირი დანახარჯების კატეგორია უნდა არსებობდეს და არსებობს კიდეც.

დანახარჯების არ მიაკუთვნებენ პირდაპირ ნაკეთობას (დანახარჯების მიკუთვნების ობიექტს) სამიდან ერთ ერთი მიზეზით:

- 1) ამის გაკეთება შეუძლებელია (მაგალითად, წარმოების მომარაგების განყოფილების უფროსის თანამდებობრივი სარგო);
- 2) ეს პრაქტიკულად რთულია, ვინაიდან თავად აღრიცხვა ამ შემთხვევაში ძალიან რთულდება და ძალიან ძვირი ჯდება (მაგალითად, ძაფები და ლითონის სამაგრები, რომელთა ფასი რამდენიმე თეთრია და არ ღირს იმის გამოთვლა, თუ რამდენი ცალი ისარჯება თითოეული ჯინსის დამზადებაზე; ამიტომ, მათ წარადგენ როგორც დამხმარე მასალებს, ე.ი. როგორც არაპირდაპირ დანახარჯებს);
- 3) მიღებულია გადაწყვეტილება, რომ არ იქნას გათვალისწინებული რაიმე დანახარჯი – როგორც პირდაპირი. ბევრი კომპანია დანახარჯებს არაპირდაპირს მიაკუთვნებს უბრალოდ იმიტომ, რომ ასეა მიღებული (ეს სამართლიანია, მაგალითად, შრომის ანაზღაურების ფონდთან დაკავშირებულ ხარჯებთან მიმართებაში (სოციალური დაზღვევის ანარიცხებთან და სხვა)).

ზოგჯერ რთულია დანახარჯების მიმუხრების სისტემის დამტკიცითი ასპექტები დანახარჯთა ობიექტზე მიკუთვნებისას.

მაგალითი:

დავითი მუშაობს არქიტექტურულ ფირმაში მხატვლად. გასულ კვირაში მას “ა” პროექტზე 25 საათი უნდა ემუშავა, ხოლო “გ” პროექტზე – 15 საათი. სინამდიღეში კი “ა” პროექტზე, რომელიც პირველად უნდა ჩაეძარებინა, 35 საათის მუშაობა დასჭირდა. ამიტომ დავითს კვირაში 50 საათის გამომუშავება მოუწოდა: 35 საათი (მ.შ. 10 სთ. გამოსასვლელ დღეებში) – “ა” პროექტზე და 15 საათი – “გ” პროექტზე. (გამოსასვლელ დღეებში (ზევემური მუშაობისთვის დავითი გამომუშავებს ხელფასზე 50%-იანი დანამატს). ზევემური მუშაობისთვის დანამატი გადახდილი უნდა იყოს “ა” პროექტზე და არა “გ”-ზე, ვინაიდან სწორედ “ა” პროექტი იყო იმის მიზეზი, რომ დავითს გამოსასვლელ დღეებში მოუნდა მუშაობა.

გარდა ამისა, არსებობს განსხვავებული შეხედულებები, თუ რამდენად მჭირდოდ უნდა იყოს დაკავშირებული ერთმანეთთან მიკუთვნების ობიექტი და დანახარჯები, რომ ეს უკანასკნელი პირდაპირად ჩაითვალოს. ბევრ საწარმოო პროცესებში, (მაგ. ავტომატიზირებულ წარმოებებში, ამკრებ ხაზებში, ნავთობგამამდიდრებელ ქარხნებში და სხვა.) ძირითადი საწარმოო სიმძლავრეები უწყვეტად მოქმედებენ პროდუქციის გამოშვების მიმდინარე მოცულობის მიუხედავად. შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ამ შემთხვევებში შრომითი დანახარჯები საჭიროა მთლიანად სამუშაო პროცესის წარმართვისათვის (რაც, მაგალითად, საწარმოო შენობების გათბობის და განათების ანალოგიურია), ე.ი. აქ სახეზე გვაქვს არაპირდაპირი დანახარჯები. მიუხედავად ამისა, კომპანიათა უმეტესობა ამ ხარჯებს სამუშაო ძალაშე პირდაპირ დანახარჯებად წარმოადგენს.

7 . 8. დანახარჯების მიპუთვების ბუნება.

დანახარჯთა ობიექტის მთლიანი თვითღირებულება, პირდაპირი დანახარჯების გარდა, იმ არაპირდაპირი დანახარჯების პროპორციულ წილს მოიცავს, რომლებიც გამოწვეულია არა ერთი, არამედ რამდენიმე ობიექტის მიერ – მათ შორის განსაზილველი ობიექტის მიერაც. მაგალითად, სახელოსნოში ავტომობილის შეკეთების თვითღირებულებაში შედის სარემონტო სახელოსნოში ყველა არაპირდაპირი დანახარჯის (ე.ი საერთო სამეურნეო) პროპორციული წილი. ცნება “პროპორციული წილი” ბუნდოვნად ულერს და ასეც არის. მაგრამ, პრაქტიკულად, ეს ერთადერთი მიღომაა ობიექტზე არაპირდაპირი დანახარჯების მისაკუთვნებლად.

რას წარმოადგენს ეს “ პროპორციული წილი”? მისი განსაზღვრის საუკეთესო საშუალება მდგომარეობს იმ პროპორციების დადგენაში, რომლითაც თითოეული ობიექტი იწვევს ამ დანახარჯებს. მაგალითად, შეკვეთა რომლის შესრულებაც საჭიროებს ძვირადღირებული მოწყობილობის გამოყენებს (და შესაბამისად ცვეთაზე, ტენიკურ მომსახურებაზე და რემონტზე უფრო მეტ ხარჯებს) უფრო მეტ ზედადებ (საერთო სამეურნეო) ხარჯებს გამოიწვევს, ვიდრე შეკვეთა, რომლის შესრულებისთვისაც შეიძლება მხოლოდ ხელსაწყო იარაღებს დავჯერდეთ, თუმცა სამუშაო დროის პირდაპირი დანახარჯების ოდენობა ორივე

შემთხვევაში ერთნაირი იქნება. ასე მაგალითად, ავტომობილების ტექნიკური მომსახურების სადგურში კარბურატორის რეგულირებისა და ბორბლების ბალანსირების ზეინკლის მუშაობის 3 საათი უფრო ძვირი ელირება, ვიდრე მანქანის გაწმენდის 3 საათი. შემდეგ, სამუშაო, რომელიც სამუშაო დროის 3 საათს ითხოვს სხვა თანაბარ პირობებში უფრო მეტ არაპირდაპირ დანახარჯებს იწვევს, ვიდრე ის, რომელიც შეიძლება 1,5 საათის განმავლობაში შესრულდეს. ცხადია, რომ დროის მოცემულ პერიოდში (ვთქვათ, ერთ თვეში), შესრულებული ყველა შეკვეთა, ამ პერიოდში წარმოქმნილი ყველა დანახარჯის მიზეზს წარმოადგენს, მიუხდავად იმისა, ეს დანახარჯები კლასიფიცირებული იქნება როგორც პირდაპირი თუ არაპირდაპირი ცალკეულ შეკვეთებთან (დანახარჯების მიკუთვნების ობიექტებთან) მიმართებაში.

რის შედეგადაც:

- ✓ საწარმოო დანახარჯების ყველა ელემენტი მიკუთვნებული უნდა იქნას დანახარჯთა ობიექტებზე;
- ✓ რამდენადაც შესაძლებელი იქნება ობიექტზე მიკუთვნებული არაპირდაპირი დანახარჯების წილი უნდა შეესაბამებოდეს განსახილველი დანახარჯების წარმოქმნაში ამ ობიექტის მონაწილეობის ხარისხს.

ცალკეულ ობიექტებზე არაპირდაპირი დანახარჯების მიკუთვნების პროცესს სხვაგვარად დანახარჯთა განაწილებას უწოდებენ, ხოლო არაპირდაპირ დანახარჯებს – ზედნადებ ხარჯებს.

არაპირდაპირი დანახარჯთა ნაკეთობაზე მიკუთვნება ზედნადები ხარჯების კოეფიციენტების დახმარებით ხდება. ზედნადები ხარჯების კოეფიციენტების გამოთვლის მეთოდი ქვევით იქნება აღწერილი. დასაწყისში კი უნდა გავეცნოთ დანახარჯთა მიკუთვნების ცენტრის (დანახარჯების ცენტრის) ცნებას.

7 . 9 . ღანახარჯთა მიკუთვნების ცენტრები.

დანახარჯთა ცენტრი – ეს დანახარჯთა მიკუთვნების ობიექტია, სადაც თავს იყრის დანახარჯები, რომლებიც შეკრულია ერთი ან რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული ფუნქციით ან საქმიანობის სახით. მაგალითად: ფუნჯების მწარმოებელ კომპანიაში არის ქვედანაყოფი ფუნჯების ხის ღეროების საწარმოებლად. იგი შეიძლება დანახარჯთა ცენტრის კარგი მაგალითი იყოს.

პროდუქციაზე დანახარჯების მიკუთვნების სისტემაში დანახარჯების ელემენტები, თავიდან, დანახარჯთა ცენტრების მიხედვით შეიკრიბება და უკვე შემდეგ მიეკუთვნება პროდუქციას. ამის გამო, დანახარჯთა ცენტრს, ხშირად დანახარჯების მიკუთვნების “შუალედურ ობიექტს” უწოდებენ, საბოლოო ობიექტის – პროდუქციისაგან განსხვავებით.

7 . 9 . 1 . “ღანახარჯთა ცენტრის” და “პასუხისმგებლობის ცენტრის” ცნებების ურთიერთდამოკიდებულება.

პასუხისმგებლობის ცენტრი არის ორგანიზაციული ქვედანაყოფი, რომელსაც მმართველი მეთაურობს. ფუნჯების მწარმოებელ კომპანიაში ხის ღეროების დამამზადებელი

ქვედანაყოფი პასუხისმგებლობის ცენტრს წარმოადგენს; იგი, ასევე, დანახარჯების ცენტრიც არის. **პასუხისმგებლობის ცენტრების უძრავლესობა, იმავდროულად, დანახარჯთა ცენტრებსაც წარმოადგენს.** თუმცა, დანახარჯთა ყველა ცენტრი არ წარმოადგენს **პასუხისმგებლობის ცენტრს.**

მაგალითად, ტიპოგრაფიაში შეიძლება სხვადასხვა ტიპისა და ზომის მრავალი საბეჭდი მანქანა იყოს. თითოეული ამ მანქანებიდან შეიძლება იყოს დანახარჯთა ცენტრი, მაგრამ არა პასუხისმგებლობის ცენტრი. გამომცემლობის მასშტაბით პასუხისმგებლობის ცენტრი მთელი ტიპოგრაფია იქნება. სხვა მაგალითი: თუ საწარმოს მიერ წარმოებული ნაკეთობები ძირითადად ერთნაირებია, საწარმო შეიძლება განხილული იქნას, როგორც დანახარჯთა ერთიანი ცენტრი, იმის მიუხედავად, რომ საწარმოში არის რამდენიმე პასუხისმგებლობის ცენტრი თავიანთი მმართველებით.

7 . 9 . 2 . დანახარჯთა ცენტრები პროდუქციის და მომსახურებების მიხედვით.

დანახარჯთა ცენტრები ორი ტიპისაა:

- ✓ დანახარჯთა ცენტრები პროდუქციის მიხედვით; და
- ✓ დანახარჯთა ცენტრები მომსახურებების მიხედვით.

პროდუქციის მიხედვით დანახარჯთა ცენტრები ამზადებენ ნაკეთობებს ან მათ ნაწილებს. მაგალითად, ფუნჯების მწარმოებელ ფაბრიკაში საამქროები, რომლებიც ამზადებენ ხის ტარებს, ფუნჯებს, ახდენენ მათ აკრებას – ყველა ესენი ნაკეთობების მიხედვით დანახარჯთა ცენტრებია. აგრეთვე, ზემოთ მოყვანილი მაგალითიდან ტიპოგრაფიის ყველა საბეჭდი მანქანა – ნაკეთობების მიხედვით დანახარჯთა ცენტრია.

დანახარჯთა ცენტრების სხვა ტიპს წარმოადგენს დანახარჯთა ცენტრები **მომსახურების მიხედვით.** ისინი ემსახურებიან პროდუქციის მიხედვით დანახარჯთა ცენტრებს, მომსახურების მიხედვით დანახარჯთა სხვა ცენტრებს ან მთლიანად ორგანიზაციას. რომლის მაგალითი შეიძლება იყოს: მანქანათმშენებელ ქარხანაში სარემონტო საამქრო და ქარხნის მმართველობა. თუმცა, არ შეიძლება დანახარჯთა ყველა ცენტრი, რაიმე ორგანიზაციულ ქვედანაყოფთან გავაიგივოთ. მაგალითად, ბევრ ორგანიზაციაში დანახარჯთა ცენტრები იქმნება უძრავი ქონების მიხედვით, სადაც თავს იყრის ყველა დანახარჯი, რომლებიც დაკავშირებულია შენობებთან, აღჭურვილობებთან და მიწის ნაკეთებთან – კომუნალური გადასახდელების, იჯარისა და დარიცხული ცვეთის ჩათვლით, ქონების გადასახდისა და სადაზღვევო გადასახდელების სახით.

მომსახურებების მიხედვით დანახარჯთა ცენტრს, ხშირად ირაბი დანახარჯების, ან ზედნადები ხარჯების კოლექტორებს უწოდებენ. სიტყვა კოლექტორი იმ მნიშვნელობით გამოიყენება, რომ აქ თავს იყრის არაპირდაპირი დანახარჯები და აქედან სხვა ცენტრებში გადადიან.

7 . 10 . ზედნადები ხარჯების პრეფიციენტების გამოთვლა.

დანახარჯთა განაწილების პროცესები მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

- ა) ზედნადები ხარჯების “მიკუთვნება” და “განაწილება” დანახარჯთა ცენტრებზე;

- ბ) მომსახურების დანახარჯთა ცენტრების ზედნადები ხარჯების ხელახლა “გადანაწილება” პროდუქციის დანახარჯთა ცენტრებზე;
- გ) ზედნადები ხარჯების “შთანთქმა” პროდუქციის მიერ.

პირველ ეტაპზე ავჭინით, რა განსხვავებაა ზედნადები ხარჯების “მიკუთხნებას” და “განაწილებას” შორის.

დანახარჯთა განაწილების პროცესის პირველი ეტაპი მოიცავს ზედნადები ხარჯების მიკუთვნებასა და განაწილებას.

- ✓ “მიკუთხნება” გულისხმობს ზედნადები ხარჯების პირდაპირ “მიწერას” ცალკეულ განყოფილებებზე (წარმოება და მომსახურეობა);
- ✓ ხოლო თუ ზედნადები ხარჯები ერთზე მეტ განყოფილებასთან არის დაკავშირებული, მაშინ ხარჯები უნდა განაწილდეს ამ გაყოფილებებს შორის გარკვეული მეთოდით, რომელსაც “განაწილებას” უწოდებენ;
- ✓ მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯები, რომლებიც, ჩვეულებრივ განაწილებას ექვემდებარება, ისეთი ხარჯებია, რომლებსაც ბევრი სხვადასხვა განყოფილება იყენებს.

ვიდრე დანახარჯთა ცენტრისათვის ზედნადები დანახარჯების კოეფიციენტის გამოთვლას განვიხილავთ, უნდა განვიხილოთ ის პროცედურები, თუ როგორ ხდება ამ დანახარჯების მიტანა დანახარჯთა ცენტრებამდე. №2 სქემაზე ნაჩვენებია ნაკეთობაზე ირიბი დანახარჯების მიკუთვნების პროცედურა:

მაგალითისათვის აღებულია ფუნჯების დამამზადებელი ფაბრიკა, რომელსაც პროდუქციის მიხედვით დანახარჯთა სამი ცენტრი და მომსახურების მიხედვით დანახარჯთა ორი ცენტრი აქვს. პროდუქციის მიხედვით დანახარჯთა ცენტრებია: ხის ტარების დამამზადებელი საამქრო; ფუნჯების დამამზადებელი საამქრო; ამკრები საამქრო. მომსახურების მიხედვით დანახარჯების ერთ-ერთი ცენტრია დანახარჯთა ცენტრი უძრავი ქონების მიხედვით, მეორე კი საერთო ცენტრი, სადაც აკუმულირდება ყველა სხვა არაპირდაპირი დანახარჯი: სასაწყობო დანახარჯები, სარემონტო სამსახურის ხარჯები, საქარხნო მმართველობა (ბევრ საწარმოში, თითოეულ ჩამოთვლილ სახეობაზე თავისი ცენტრი იქმნება).

პროდუქციას (დანახარჯების მიკუთვნების ობიექტს) პირდაპირ მიეკუთვნება პირდაპირი დანახარჯები ნედლეულსა და მასალებზე და პირდაპირი დანახარჯები სამუშაო ძალაზე.

ირიბი დანახრჯების ნაკეთობაზე (დანახარჯების მიკუთვნების საბოლოო ობიექტზე) მიკუთვნება სამ სტადიას გადის:

- 1) სააღრიცხვო პერიოდის ირიბი დანახარჯების საერთო თანხა ნაწილდება დანახარჯების მიკუთვნების შუალედურ ობიექტებს შორის – პროდუქციებისა და მომსახურებების მიხედვით დანახარჯთა ცენტრებს შორის (მე-2 სქემის ა ნაწილი);
- 2) მომსახურების მიხედვით დანახარჯების თითოეულ ცენტრზე მიკუთვნებული თანხა ნაწილდება დანახარჯთა ცენტრებზე ნაკეთობების მიხედვით (მე-2 სქემის ბ ნაწილი);
- 3) ნაკეთობების მიხედვით დანახარჯთა თითოეულ ცენტრზე მიკუთვნებული ირიბი დანახარჯების საერთო თანახა (მომსახურების მიხედვით დანახარჯების ცენტრებიდან

გადმონაწილებული თანხების ჩათვლით) ნაწილდება იმ ნაკეთობაზე, რომელიც გადის ნაკეთობების მიხედვით დანახარჯების ცენტრული (მე-2 სექტორის გ ნაწილი).

სქემა 2. ირიბი დანახარჯების მიკუთვნება პროდუქტიაზე (ლარებში)

Ⓐ. ხარჯების თავდაპირებელი “მიკუთვნება” / “განაწილება” დანახარჯების ცენტრული მიხედვით

დანახარჯთა ცენტრული

არაპირდაპირი დანახარჯების
ელემენტები წარმოებაში

დანახარჯთა ცენტრული
მომსახურებების მიხედვით

დანახარჯთა ცენტრული
პროდუქტიის მიხედვით

- ირიბი დანახარჯები
სამუშაო ძალაზე
- სასაწყობო ხარჯები,
- ტექნიკური კონტროლი,
- ელექტროენერგია,
- დარიცხული ტენია
(ამორტიზაცია)
- და ა.შ.

27000

უძრავი ქონების
5'000

საერთო
7'500

ხის ტარების მწარმოებელი
სამქრო
5'000

ფუნჯების მწარმოებელი
სამქრო
7'800

ამჟღაპნის სამქრო
1'700





Ⓑ. მომსახურების მიხედვით ცენტრულის

დანახარჯთა “გადანაწილება”

დანახარჯების ცენტრული
მომსახურების მიხედვით

დანახარჯების ცენტრული
პროდუქტიის მიხედვით

ნაკეთობები – დანახარჯების
მიკუთვნების ობიექტები



და ა.შ.

აღვწეროთ თითოეული სტადია უფრო დეტალურად.

1. დანახარჯთა თავდაპირველი განაწილება დანახარჯთა ცენტრების მიხედვით.

ირიბი დანახარჯების მიკუთვნების პირველ ნაბიჯს წარმოადგენს საანგარიშო პერიოდში დანახარჯთა ცენტრების მიხედვით განაწილება. სამუშაო ძალაზე არაპირდაპირი დანახარჯები, დანახარჯების იმ ცენტრებს „მიკუთვნება”, სადაც შესაბამისი თანამშრომლები მუშაობენ (გაიხსენთ, რომ ეს დანახარჯები, ჩვეულებრივ, პირდაპირს წარმოადგენ დანახარჯთა ცენტრების მიმართ. ტერმინი არაპირდაპირი გამოიყენება იმიტომ, რომ ეს დანახარჯები არ წარმოადგენ პირდაპირს პროდუქციასთან – დანახარჯების მიკუთვნების საბოლოო ობიექტთან მიმართებაში). სასაწყობო ხარჯები და დანახარჯები დამხმარე მასალებზე იმ ცენტრებს „მიკუთვნება”, სადაც ისინი წარმოიშვა. მანქანებსა და მოწყობილებებზე დარიცხული ცვეთა, ასევე ხარჯები ენერგომომარაგებაზე დანახარჯების იმ ცენტრებს „მიკუთვნება”, რომლებშიც ეს მანქანები ირიცხება. ხარჯები შენობის გათბობასა და განათებაზე, ასევე საივარო ქირა, ან შენობასა და აღჭურვილობაზე დარიცხული ცვეთა – „გაუნაწილდება” დანახარჯების ცენტრს უძრავი ქონების მიხედვით.

წინამდებარე აღწერაში თქვენ, ალბათ, უკვე მიაქციეთ ყურადღება, რომ ირიბი დანახარჯები დანახარჯთა ცენტრებზე მუხლობრივად ნაწილდება და არა მათი შეკრებითა და საერთო თანხის განაწილებით. როცა პროცედურა თითოეული მუხლის მიხედვით შესრულებულია, პასუხისმგებლობის ცენტრების (დანახარჯების ცენტრების) მიხედვით განაწილებული ირიბი დანახარჯების თანხა, პერიოდის ირიბი დანახარჯების საერთო თანხის ტოლია.

მე-2 სქემის ა ნაწილში ნაჩვენებია, თუ როგორ მიკუთვნა და განაწილდა თავდაპირველად ირიბი დანახარჯების 27,000 ლარი დანახარჯთა ცენტრების მიხედვი. (იხ. სქემა 3). მაგალითად, სამუშაო ძალაზე არაპირდაპირი დანახარჯების 10'000 ლარიდან უძრავი ქონების მიხედვით დანახარჯების ცენტრზე მიკუთვნებული იყო – ნული (ვინაიდან არც ერთო მუშაკი არ ირიცხება უშუალოდ ამ ქვედანაყოფში), დანახარჯების საერთო ცენტრზე – 5'000 ლარი, ხის ტარების დამამზადებელ საამქროზე – 1'700 ლარი, ფუნჯების დამამზადებელ საამქროზე – 3'300 ლარი და ამწყობ საამქროზე – ნული (ვინაიდან საამქროს უფროსიც უშუალოდ აწყობაზე მუშაობს, ხოლო სხვა მმართველობითი ან ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი, ე.ო. სამუშაო ძალაზე არაპირდაპირი დანახარჯი, აქ არ არის). დანარჩენი დანახარჯების მიკუთვნებისას შესაბამისი ბაზა მოიძებნება. მიკუთვნების ბაზებზე საუბარი გვექნება ქვემოთ.

2. მომსახურების მიხედვით დანახარჯების ცენტრებზე თავდაპირველად მიკუთვნებული დანახარჯების „გადანაწილება”:

შემდეგი ნაბიჯი იქნება თავდაპირველად მომსახურების მიხედვით დანახარჯის ცენტრებზე მიკუთვნებული დანახარჯების „გადანაწილება”, იმისათვის, რომ, საბოლოო ჯამში ყველა არაპირდაპირი დანახარჯი მივიღეს პროდუქციის მიხედვით დანახარჯთა ცენტრებამდე. თავდაპირველად მომსახურების მიხედვით დანახარჯთა ცენტრებზე მიკუთვნებული დანახარჯების ცალკეული ელემენტები პირდაპირ გადაიტანება დანახარჯთა იმ ცენტრებზე,

რომლებიც იღებენ შესაბამის მომსახურებას. მაგალითად, დანახარჯები სარემონტო სამსახურზე ცენტრების მიხედვით შეიძლება განაწილდეს რეალურად შესრულებული სარემონტო სამუშაოების მოცულობის საფუძველზე. დანახარჯები საკუთარ ელექტროსადგურზე შეიძლება გადანაწილდეს თითოეული ცენტრის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის რაოდენობის მიხედვით, ისე, თითქოს ელექტროენერგიის შესყიდვა სწვა კომპანიისგან ხდებოდეს.

სექტა 3

არაპირდაპირი დანახარჯების მიკუთვნება / განაწილება

„დანახარჯების ელემენტები	საერთო თანხა	დანახარჯების ცენტრი მომსახურების მიხედვით		დანახარჯების ცენტრი პროდუქციის მიხედვით		
		უძრავი ქონების	საერთო	ხის ტარების სამქრო	ფუნჯების სამქრო	ამჟრები სამქრო

ა. თავდაპირველი მიკუთვნება / განაწილება დანახარჯთა ცენტრების მიხედვით

არაპირდაპირი დანახარჯები სამუშაო ძალაზე	10000	0	5000	1700	3300	0
სასაწყობო ხარჯები	5'000	600	1'500	500	1'500	900
სხვა	<u>12'000</u>	<u>4'400</u>	<u>1'000</u>	<u>2'800</u>	<u>3'000</u>	<u>800</u>
სულ	<u>27'000</u>	<u>5'000</u>	<u>7'500</u>	<u>5'000</u>	<u>7'800</u>	<u>1700</u>

ბ. მომსახურების მიხედვით დანახარჯთა ცენტრებზე თავდაპირველად მიკუთვნებულ დანახარჯების გადანაწილება

უძრავი ქონების დანახარჯთა ცენტრი		(5'000) ¹	<u>500</u>	1'500	2'000	1'000
საერთო დანახარჯთა ცენტრი			<u>(8'000)</u>	<u>4'100</u>	<u>3'400</u>	<u>500</u>
არაპირდაპირი დანახარჯები	<u>27'000</u>	<u>0</u>	<u>0</u>	<u>10'600</u>	<u>13'200</u>	<u>3'200</u>

გ. ზედნადები ხარჯების კოეფიციენტების გამოთვლა

სამუშაო დროის პირდაპირი დანახარჯ. - გამომუშავებული ქაც-სათების რაოდენობა	7'000			2'100	3'500	1'400
ზედნადები ხარჯების კოეფიც. (ზედ/ხარჯის დარი კაც/სო) სამუშაო დროის (კაც/სო) პირდაპირ დანახარჯებზე				5.05	3.77	2.29

1 ფრჩხილები აღნიშნავს გამოქვითვას.

მე-3 სექტა გამოსახული პროცედურები განვიხილოთ დაწვრილებით:

დანახარჯების მიკუთვნების ბაზა. არაპირდაპირი დანახარჯების ბევრი ელემენტი შეუძლებელია უშუალოდ მიეკუთვნოს რომელიმე ცენტრს, ხოლო მომსახურების მიხედვით დანახარჯების ცენტრებზე თავდაპირველად მიკუთვნებული დანახარჯები არ

შეიძლება პირდაპირ განაწილდეს დანახარჯების სხვა ცენტრებს შორის. დანახარჯების ამ ელემენტების განაწილებისათვის ორჩევნ შესაბამის ბაზას. იგი მაქსიმალურად უნდა შეესაბამებოდეს ზემოთ მოყვანილ ძირითად კრიტერიუმს: დანახარჯების მიკუთვნების ბაზა უნდა გამოხატავდეს მიზეზ-შედეგობრივ კავშირს დანახარჯებსა და დანახარჯთა ცენტრებს შორის, თუმცა ამისათვის არ არსებობს რაიმე ზუსტი და საყოველთაო წესი. პრაქტიკაში გამოყენებულია დანახარჯების მიკუთვნების სხვადასხვა ბაზები, მაგალითად:

- a) **შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებული.** დანახარჯები სოციალური დაზღვევის ანარიცხებზე, საპენსიო უზრუნველყოფა, სხვადასხვა ანაზღაურებები და შეღავათები, შეიძლება განაწილდეს, სამუშაო ძალაზე დანახარჯების საერთო თანხის ბაზით, შეიძლება ჩაერთოს სამუშაო ძალაზე პირდაპირ დანახარჯებში და არ გამოჩნდნენ როგორც ზედნადები ხარჯები;
- b) **მუშაოთა საშუალოსობრივ რიცხოვნობასთან დაკავშირებული.** ქვედანაყოფის პერსონალის შენახვასთან დაკავშირებული დანახარჯები (მაგ. სასადილოს დანახარჯები).
- c) **ნედლეულსა და მასალებთან დაკავშირებული.** დანახარჯების ეს კატეგორია შეიძლება განაწილდეს საწარმოს დანახარჯთა ცენტრებში უშუალოდ გამოყენებული ნედლეულისა და მასალების რაოდენობის ან ფასის მიხედვით (მაგ. საწყობში შენახვის ხარჯი).
- d) **საწარმოო და სხვა სათავსოებთან დაკავშირებული.** დანახარჯების ცალკეული ელემენტები დაკავშირებულია დანახარჯთა ცენტრის მიერ დაკავებული საწარმოო ფართისა და სათავსოს მოცულობის გამოყენებასთან, რომელიც ნაწილდება საწარმოო ფართის ბაზის კვადრატული მეტრების ან კუბური მეტრების (მოცულობის) შესაბამისად (მაგ. გათბობა, განათება)
- e) **ოპერაციებთან დაკავშირებული.** ზოგიერთი დანახარჯი ამა თუ იმ ოპერაციის შესრულების რაოდენობით განისაზღვრება და ამ ბაზით ნაწილდება. მაგალითად, დანახარჯი ანგარიშის ამოწერაზე, პრაქტიკულად დამოკიდებული არ არის იმ თნხაზე, რომელიც ანგარიშშია მოცემული.
- f) **აქტივობის დონესთან დაკავშირებული.** ცალკეული დანახარჯი დაახლოებით შეესაბამება დანახარჯთა ცენტრის აქტივობის საერთო დონეს. აქ მოქმედებს წინაპირობა: რაც უფრო მეტი მოცულობის სამუშაო სრულდება ცენტრის მიერ, მით მეტია დანახარჯები, რომლებიც შეიძლება ამ მაჩვენებელზე იყოს მიბმული.

მავალითი:

მე-3 სქემის „ბ“ ნაწილში ნაჩვენებია თავდაპირველად მომსახურების მიხედვით დანახარჯთა ცენტრებზე მიკუთვნებული დანახარჯების პროდუქციის მიხედვით დანახარჯების ცენტრებზე გადანაწილების პროცესი.

დანახარჯები უძრავ ქონებაზე, თანხით 5'000 ლარი, შეიძლება განაწილდეს საერთო ფართში დანახარჯთა თითო-უკლი ცენტრის მიერ დაკავებული საწარმოო ფართის წილის მანედვით:

სქემა 4

დანახარჯთა ცენტრი	წილი საერთო საწარმოო ფართში, %	დანახარჯები უძრავი ქონების მიხედვით, ლარი
საერთო	10	500
ხის ტარების სამქრო	30	1'500
ფუნჯების სამქრო	40	2'000
ამკრები სამქრო	<u>20</u>	<u>1'000</u>
ჯამი	<u>100</u>	<u>5'000</u>

მომსახურების დანახარჯთა ცენტრზე მიკუთვნებული საერთო დანახარჯები ($7500+500$), პროდუქციის ცენტრებზე გადანაწილდება პირდაპირი დანახარჯების საერთო თანხის ბაზაზე (ნედლეულსა და მასალებზე პირდაპირ დანახარჯებს + პირდაპირი დანახარჯები სამუშაო ძალაზე).

სქემა 5

დანახარჯთა ცენტრი	პირდაპირი დანახარჯების წილი, %	საერთო დანახარჯები, ლარი
ხის ტარების სამქრო	51	4'100
ფუნჯების სამქრო	43	3'400
ამკრები სამქრო	<u>6</u>	<u>500</u>
ჯამი	<u>100</u>	<u>8'000</u>

თანმიმდევრულობის წესი. მე-5 სქემაზე უძრავი ქონების მიხედვით ცენტრის დანახარჯების გარკვეული ნაწილი (500 ლარი) მომსახურების მიხედვით დანახარჯთა საერთო ცენტრს ეკუთვნის. ამ ლოგიკიდან გამომდინარე, მომსახურების მიხედვით საერთო ცენტრის დანახარჯების ნაწილი თავის მხრივ შეიძლება ეკუთვნის უძრავი ქონების მიხედვით დანახარჯთა ცენტრს, რაც დანახარჯთა გადანაწილებისას სიძნელეებს ქმნის. მომსახურების მიხედვით დანახარჯთა ცენტრების დიდი რაოდენობით არსებობისას, თეორიულად შეიძლება დანახარჯების განაწილებისა და გადანაწილების გრძელი პროცესი წარმოიშვას. პრაქტიკაში კი, უფრო ხშირად, ასეთ გადანაწილებებს გვერდს უვლიან, ახდენენ რა მომსახურების მიხედვით ცენტრების დანახარჯების მიკუთვნებას გარკვეული თანმიმდევრულობით.

ამ თანმიმდევრულობის დასადგენად მკვეთრი და შეუცვლელი წესები არ არსებობს. ორგანიზაციები, ძირითადად, პირველად ანაწილებენ იმ ცენტრების დანახარჯებს, რომლებიც ყველაზე მეტი რაოდენობის მომსახურებას უწევენ დანახარჯების სხვა ცენტრებს, ან იმ ცენტრების დანახარჯებს, რომლებიც ყველაზე ნაკლებ მომსახურებას იღებენ მომსახურების მიხედვით დანახარჯთა სხვა ცენტრებისგან.

ჩვენს მაგალითში განაწილების თანმიმდევრულობა შემდეგია: დანახარჯთა ცენტრი უძრავი ქონების მიხედვით – პირველია; დანახარჯთა საერთო ცენტრი მომსახურების მიხედვით კი – მეორე, ვინაიდან უძრავი ქონების მიხედვით დანახარჯთა ცენტრი ემსახურება ყველა სხვა დანახარჯთა ცენტრს და არ სარგებლობს დანახარჯთა საერთო ცენტრის მომსახურებით. მომსახურების მიხედვით დანახარჯთა ცენტრს არ აკუთვნებენ სხვა დამატებით დანახარჯს, გარდა მასზე თავდაპირველად მიკუთვნებული დანახარჯებისა.

ზოგიერთ ორგანიზაციაში თვლიან, რომ დანახარჯების მიკუთვნებაში სიზუსტის დიდი ხარისხი, რომელიც თანმიმდევრულობის წესით მიიღწევა, კომპენსირებას არ უკეთებს ამ პროცედურის დროს წარმოქმნილ სირთულეებს. ასეთ ორგანიზაციებში მომსახურების მიხედვით დანახარჯთა ცენტრებზე თავდაპირველად მიკუთვნებული დანახარჯები დაუყოვნებლივ ნაწილება ნაკეთობების მიხედვით დანახარჯთა ცენტრებზე და არ გაითვალისწინება ერთმანეთის მიმართ გაწეული მომსახურებები. ასეთ მიდგომას **დანახარჯების განაწილების პირდაპირ მეთოდის უწოდებენ.**

3. საერთო სამეურნეო (ზედნადები) ხარჯების „შთანთქმა“ პროდუქციის მიერ. დანახარჯთა ცენტრებზე არაპირდაპირი დანახარჯების განაწილების შემდეგ, იწყებენ ამ ცენტრებში წარმოებულ პროდუქციაზე დანახარჯების მიკუთვნების მესამე, დამამთავრებელ სტადიას.

პროცესზე დანახარჯების მიკუთვნების აღრიცხვის სისტემაში ეს მარტივია. დანახარჯების ცენტრზე მიკუთვნებული არაპირდაპირი დანახარჯები იყოფა თვის განმავლობაში წარმოებული პროდუქციის ერთეულის საერთო რიცხვზე. მიღებული განაყოფი კი პროდუქციის ერთეულზე გათვლილი ზედნადები ხარჯების სიღიდე იქნება.

შეკვეთაზე დანახარჯების მიკუთვნების აღრიცხვის სისტემაში ეს პროცედურა უფრო რთულია. შეკვეთები, რომლებზეც ცენტრი მუშაობდა, განსხვავებულია მოცულობითა და სირთული, რის გამოც ისინი ზედნადები ხარჯების განსხვავებულ წილებს მოიხმარენ. ამიტომ ცენტრზე მიკუთვნებული არაპირდაპირი დანახარჯები შეკვეთაზე უნდა გადანაწილდეს ამ დანახარჯებში მათი ნამდვილი წილის შესაბამისად. სწორედ ამიტომ ხდება ზედნადები ხარჯების კოფიციინურების გამოთვლა, რომელთა დახმარებითაც თითოეულ ნაკეთობას ზედნადები ხარჯების ნამდვილი თანხა მიეკუთვნება.

ზედნადები დახარჯების შთანთქმა წარმოებული პროდუქციის ერთეულების მიერ შესაძლებელია შთანთქმის შემდეგი საფუძვლებით (ბაზით):

- ✓ მანქანასაათის განაკვეთით (როდესაც წარმოება მანქანატევადია);
- ✓ კაცსაათის განაკვეთით (როდესაც წარმოება შრომატევადია);
- ✓ ძირითადი დანახარჯის ხვედრითი წილი (%);
- ✓ ძირითადი ხელფასის ხვედრითი წილი (%);

ზედნადები ხარჯების შთანთქმის განაკვეთის გამოთვლა შესაძლებელია შემდეგი ფორმულით:

**ზედნადები ხარჯების
შთანთქმის განაკვეთი**

მთლიანი საწარმოო ზედნადები ხარჯები
მთლიანი შთანთქმის საფუძველი (ბაზა)

მანქანა-საათების რაოდენობას, როგორც ბაზას, ჩვეულებრივ, დანახარჯების იმ საწარმოო ცენტრებში (პროდუქციის მიხედვით დანახარჯთა ცენტრებში) იყენებენ, რომლებშიც უპირატესობა აქვთ ერთ მანქანას (მაგალითად, ქაღალდისმწარმოებელი მანქანა), მანქანათა ჯგუფს, ან ავტომატურ ხაზს. ერთი და იგივე საწარმოში, დანახარჯების სხვადასხვა საწარმოო ცენტრები შეიძლება განსხვავებულ ბაზებს იყენებდნენ იმის მიხედვით, უფრო მეტად ცოცხალ შრომას იყენებენ თუ მანქანებს. შესაფერისი ბაზის არჩევაზე გადაწყვეტილებას იღებს ხელმძღვანელობა. ამგვარად, არ არსებობს მკვეთრი და ერთგვაროვანი წესები თითოეულ ნაკეთობაზე მისაკუთვნებელი ზედნადები დანახარჯების თანხის განსაზღვრისათვის. თუ არ არსებობს მკვეთრად განსაზღვრული კაგშირი კაც და მანქანა-საათებსა და არაპრდაპირ დანახარჯებს შორის, უკეთესია, თუ ბაზად პირდაპირი დანახარჯების თანხას ავირჩევთ.

იმის შემდეგ, როდესაც დანახარჯების მოცემული ცენტრისთვის განსაზღვრულია ბაზა, ზედნადები ხარჯების კოეფიციენტი გამოითვლება ამ ცენტრის მიხედვით პერიოდის ზედნადები ხარჯების საერთო თანხის გაყოფით, ამავე პერიოდში ბაზად მიღებული მაჩვენებლის ფაქტიურ ოდენობაზე. განვიხილოთ სქემა 3-ის გ ნაწილი.

მაგალითი:

დავუშვათ, რომ სამუშაო დროზე პირდაპირი დანახარჯების კაც-საათების რიცხვი – მეტნაკლებად შესაფერისი ბაზა პროდუქციის მიხედვით დანახარჯების სამივე ცენტრისათვის. ფუნქციების ხის ტარების სამქროში სამუშაო დროის პირდაპირი დანახარჯების თვის განმავლობაში 2'100 კაც-საათი შეადგინა. გავით სამქროს მიხედვით ზედნადები ხარჯების საერთო თანხა (40'600) ამ რიცხვზე და მივიღეთ ზედნადები ხარჯების კოეფიციენტის ხის ტარების სამქროსათვის – 5,05 ლარს, ანუ სამუშაო დროის პირდაპირი დანახარჯების 1 კაც-საათზე. ანალოგოურად №3 სქემის მაჩვენებლების მიხედვით, ზედნადები ხარჯების კოეფიციენტი ფუნქციების სამქროსათვის 3.77 ლ/კაც საათზე და ამწყობი სამქროსათვის 2.29 ლ/კაც საათზე.

დანახარჯების ცენტრში გავლილ ყველა ნაკეთობაზე ზედნადები ხარჯები გაიანგარიშება ზედნადები ხარჯების კოეფიციენტის გამრავლებით ამ ცენტრის მიხედვით ბაზის ერთეულის ფაქტიურ რაოდენობაზე, ანუ პირდაპირი დანახარჯების კაც-საათზე, რომელიც ამ ნაკეთობას დაჭირდა.

მაგალითი:

კიდევ ერთხელ დავუძრუნდეთ მე-3 სქემას. დავუშვათ, რომ პროდუქციის ცალკე პარტიამ, შეკვეთა №307, ხის ტარების სამქროში მოითხოვა სამუშაო დროის პირდაპირი დანახარჯები 30

კაც-სათის ოდენობით, ფუნქცების სამქროში – 5 კაც-სათი და ამკრებ სამქროში – 5 კაც-სათი. ამ შეკვეთისთვის ზედნადები ხარჯები შემდგენ სახით გამოითვლება:

დანახარჯთა ცენტრი	სამუშაო დროის პირდაპირი დანახარჯები, კაც/სთ	ზედნადები სარჯების კოეფიციენტი	ზედნადები სარჯები
ხის ტარჯების სამქრო	30	5,05	151,50
ფუნქცების სამქრო	20	3,77	75,40
ამკრები სამქრო	5	2,29	<u>11,45</u>
ზედნადები ხარჯების საერთო თანხა №307 შეკვეთაზე			<u>238,35</u>

მეცნარად, №307 შეკვეთაზე ზედნადები ხარჯები 238,35 ლარის ოდენობით მოდის.

7 . 11 . ზედნადები ხარჯების ტინაზარ დაზღენილი კოეფიციენტები.

დანახარჯთა ცენტრებში ზედნადები ხარჯების დაგროვების პროცედურა და ნაკეთობებზე მათი შემდგომი მიკუთვნება, იგივე ქრონოლოგიური თანმიმდევრობით მიმდინარეობს, როგორც ნედლეულსა და მასალებზე და სამუშაო ძალაზე პირდაპირი დანახარჯების აღრიცხვა. თავდაპირველად დგინდება თვის დანახარჯების საერთო თანხა, რომელიც შემდეგ ნაწილდება ფაქტიურად გამოშვებულ ნაკეთობებზე.

ხშირ შემთხვევებში უმჯობესია, ნაკეთობების მიხედვით დანახარჯების თითოეული ცენტრისათვის, წინასწარ, ჩვეულებრივ, წელიწადში ერთხელ, დავადგინოთ ზედნადები ხარჯების კოეფიციენტი და შემდეგ გამოვიყენოთ იგი წლის განმავლობაში. ახლა ჩვენ შემოვიფარგლებით შეკვეთაზე დანახარჯების მიკუთვნების აღრიცხვის სისტემის ჩარჩოებში ამ საკითხის განხილვით, მაგრამ იგივე მოსაზრებები მოქმედებს პროცესზე დანახარჯების მიკუთვნების აღრიცხვის სისტემისთვისაც.

რატომ დვინდება ზედნადები ხარჯების კოეფიციენტი წინასწარ? არსებობს სამი მიზეზი, რის გამოც ზედნადები ხარჯების კოეფიციენტების წინასწარი გამოვლა და დადგნა, უმჯობესია თითოეული თვის შედეგების მიხედვით ფაქტიური კოეფიციენტების განსაზღვრაზე.

1. ყოველთვიურად გამოთვლილი ზედნადები ხარჯების კოეფიციენტები შეიძლება ძლიერ დამახინჯდეს ამა თუ იმ თვეში დანახარჯების სპეციფიკური გადახრების გამო. ზოგიერთი არაპირდაპირი დანახარჯები თვეების მიხედვით იცვლება: ასე მაგალითად, გათბობაზე დანახარჯები ზამთარში უფრო მაღალი იქნება, ვიდრე ზაფხულში. წარმოების მოცულობა თვეების მიხედვით შეიძლება შეიცვალოს მასიური შვებულებების გამო, რომელიმე თვეში მეტი სადღესასწაულო დღეების გამო, კომპანიის პროდუქციაზე (და შესაბამისად წარმოების მოცულობაზე) მოთხოვნილების სეზონური ცვალებადობით და ა.შ. თითოეული ეს ცვლილება გამოიწვევს კოეფიციენტის ვარირებას თვიდან თვეში. ინფორმაცია ნაკეთობის თვითღირებულებაზე შეიძლება დამახინჯდული იქნას, თუ ყველა ამ გადახრაზე კორექტირება არ მოვახდინეთ.

2. წინასწარ დადგენილი კოეფიციენტების გამოყენება საშუალებას გვაძლევს უფრო სწრაფად განვითაროთ ნაკეთობის თვითღირებულება; ნედლეულსა და მასალებზე და სამუშაო ძალაზე პირდაპირი დანახარჯები პროდუქციას შეიძლება მიეკუთვნოს მაშინვე, ხოლო ზედნადები ხარჯები კი, თუ მათი კოეფიციენტები თვის შედეგების მიხედვით გამოითვლება, პროდუქციას მიეკუთვნება თვის ბოლოს. წინასწარ დადგენილი კოეფიციენტების გამოყენება საშუალებას გვაძლევს პროდუქციაზე არაპირდაპირი და პირდაპირი დანახარჯები ერთდროულად გავანაწილოთ.
3. ზედნადები ხარჯების კოეფიციენტის წელიწადში ერთხელ გამოთვლა უფრო ნაკლებ ძალისხმევას მოითხოვს, ვიდრე ყოველთვიური.


7 . 11 . 1 . წინასწარ დადგენილი კოეფიციენტების განსაზღვრის მეთოდება.

განვითარების წინასწარ დადგენილი კოეფიციენტების გამოსათვლელად, იმავე სამ ეტაპს გადის, რაც ნაკეთობაზე არაპირდაპირი დანახარჯების მიეკუთვნების ზემოთ აღწერილ პროცესშია, იმ განსხვავებით, რომ გამოთვლებში გამოიყენება არა ფაქტიური მონაცემები, არამედ მომავალი წლის წინასწარ შეფასებული (გეგმიური მაჩვენებლები).

ზედნადები ხარჯების მოქნილი ბიუჯეტი. ბევრ კომპანიაში ეს შეფასებები პროდუქციის მიხედვით დანახარჯების თითოეული ცენტრისთვის ზედნადები ხარჯების მოქნილი, ანუ მოძრავი ბიუჯეტის (ხარჯთაღრიცხვის) ფორმით კეთდება. ასეთი სისტემა აჩვენებს, თუ როგორი არაპირდაპირი დანახარჯებია მოსალოდნელი წარმოების სხვადასხვა მოცულობის დროს. რამდენადაც არაპირდაპირი დანახარჯების ნაწილი მუდმივია, ხოლო მეორე ნაწილი – ცვლადი ან ნაწილობრივ ცვლადი, ამიტომ ზედნადები ხარჯების საერთო თანხა განსხვავებული იქნება წარმოების მოცულობის სხვადასხვა მნიშვნელობის დროს. მომდევნო თავებში განმარტებული იქნება, თუ რატომ არის ზედნადები ხარჯების მოქნილი ხარჯთაღრიცხვა მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი დანახარჯების მართვისა და კონტროლისათვის.

მე-6 და მე-7 სქემებზე მოცემულია ფუნჯების საამქროში თვის განმავლობაში ზედნადები ხარჯების მოქნილი ხარჯთაღრიცხვა. ზომის ერთეულად აღებულია პირდაპირი შრომის კაც-საათი. ხარჯთაღრიცხვა შეიძლება წარმოდგენილი იყოს როგორც ცხრილის, ისე გრაფიკის სახით (დანახარჯები-მოცულობის დიაგრამის მსგავსად). სვეტი, რომელიც №7 სქემაში 3'500 კაც-საათზეა გათვლილი და გეგმიური ხარჯთაღრიცხვით 13,170 ლარ ზედნადებ ხარჯებს მოიცავს, ანალოგიურია მე-3 სქემაზე ფუნჯების საამქროს მონაცემებისა, მაგრამ მე-3 სქემაზე წარმოდგენილია არაპირდაპირი დანახარჯების ფაქტიური თანხა – 13'200 ლარი, რომელიც შეესაბამება ფაქტიურ სამუშაო დროს 3'500 კაც-საათს.

სქემა 6



მე-7 სქემაზე მოცემულია ზედნადები ზარჯების მოქნილი ბიუჯეტი, პირდაპირი შრომის კაც-საათები სხვადასხვა სიდიდის მონაცემების დროს. გამოთვლის მექანიზმი აქ იგივეა, რაც მე-3 სქემაზე, მხოლოდ დანახარჯების სიდიდეებია გეგმიური და არა ფაქტიური. მე-3 სქემაზე მოცემული ზარჯთაღრიცხვის შეფასებების ანალიზი საშუალებას გვაძლევს გამოვავლინოთ შემდეგი:

სქემა 7

ზედნადები ზარჯების მოქნილი ზარჯთაღრიცხვა ფუნჯების სამქრო

დანახარჯების ელემენტები	მოცულობა (სამუშაო დროის პირდაპირი დანახარჯების კაც-საათები)			
	2'500	3'000	3'500	4'000
არაპირდაპირი დანახარჯები, სამუშაო ძალაზე	3'300	3'300	3'300	3'300
სასაწყობო და სატრანსპორტო დანახარჯები	1'050	1'260	1'470	1'680
სხვა არაპირდაპირი დანახარჯები	<u>2'500</u>	<u>2'750</u>	<u>3'000</u>	<u>3'250</u>
სულ	6'850	7'310	7'770	8'230
განაწილება უძრავი ქონების მიხედვით დანახარჯების ცენტრიდან	2'000	2'000	2'000	2'000

განაწილება მომსახურების მიხედვით დანახარჯების საერთო ცანტრიდან	<u>3'400</u>	<u>3'400</u>	<u>3'400</u>	<u>3'400</u>
სულ ზედანდები ზარჯები	<u>12'250</u>	<u>12'710</u>	<u>13'170</u>	<u>13'630</u>

- 1) მუდმივია - შემდეგი არაპირდაპირი დანახარჯები: სამუშაო ძალაზე – 3'300 ლარი თვეში; უძრავი ქონების მიხედვით დანახარჯების ცენტრიდან გადანაწილებული – 2'000 ლარი თვეში; მომსახურების მიხედვით საერთო დანახარჯები – 3'400 ლარი თვეში.
- 2) ცვლადია - სასაწყობო და სატრანსპორტო ზარჯები – 0,42 ლარი 1 კაც-საათზე (მაგ. მე-3 სვეტისათვის $3500 * 0.42 = 1,470$)
- 3) ნაწილობრივ ცვლადია - სხვა არაპირდაპირი დანახარჯები, საიდანაც თვეში 1,250 ლარია – მუდმივ შემადგენელი, რომელსაც ემატება ცვლადი შემადგენელი – 0,50 ლარი სამუშაო დროის პირდაპირი დანახარჯების 1 კაც-საათზე (მაგ. მე-3 სვეტისათვის $1,250 + 0.50 * 3'500 = 3,000$).

სულ მუდმივი ზარჯების ჯამი შეადგენს 9 550 ლარს ($3'300+2'000+3'400+1'250$), ხოლო ცვალებადი ზარჯები ერთეულზე 0.9 2ლარს ($0.42+0.50$). ამგვარად, გამოშვების მოცულობის ცვლილების განხილულ ზღვრებში ზედნადები ზარჯების საერთო თანხა შეიცვლება შემდეგი ტოლობის თანახმად:

ზედნადები ზარჯები = $9'950$ ლარს + $(0,92 \text{ ლარი} \times \text{სამუშაო დროის პირდაპირ დანახარჯებზე, კაც-საათები})$ გრაფიკული ფორმით კი ეს დამოკიდებულება, დანახარჯი-მოცულობის გრაფიკზე №6 სქემის სახეს მოცემულ სახეს მიიღებს .

გამოშვების პროგნოზირებადი მოცულობა. ზედნადები ზარჯების წინასწარ დადგენილი კოეფიციენტის განსაზღვრაში მეორე ეტაპს წარმოედგენს, მიმდინარე წლის განმავლობაში, თითოეული ცენტრის სამუშაოთა საშუალო მოცულობის პროგნოზი. ეს, პირველ რიგში, მოიცავს მთლიანად საწარმოს მიერ გამოშვების მოცულობის პროგნოზს, ხოლო შემდეგ, ამ პროგნოზის გაშეიფრას დანახარჯების თითოეული ცენტრის მიხედვით. პროგნოზის მიხედვით კომპანიაში, დამდეგ წელს საწარმოო სიმბლავრეები 75%-ით იქნება დატვირთული. ასეთი დატვირთვის დროს, ფუნჯების სამქროში, სამუშაო დროზე პირდაპირი დანახარჯები თვეში 3'000 კაც/საათს შედგენს. ეს სიდიდე – გეგმიური მაჩვენებელია (დაწვრილებით იგი, ქვევით იქნება განხილული).

ზედნადები ზარჯების კოეფიციენტი. დამამთავრებელი ეტაპს წარმოადგენს ნაკეთობათა მიხედვით დანახარჯების თითოეული ცენტრისათვის ზედნადები ზარჯების კოეფიციენტის გამოთვლა. გამოთვლა ხდება დანახარჯების ცენტრის ზედნადები ზარჯების გეგმიური მაჩვენებლების გაყოფით შესაბამისი ბაზის გეგმიური მაჩვენებლის სიდიდეზე. ფუნჯების სამქროსთვის ზედნადები ზარჯების კოეფიციენტი 4,24 ლარის ტოლი იქნება, სამუშაო დროის პირდაპირი დანახარჯების 1 კაც-საათზე ($12'710 \text{ კ-ს} : 3'000 \text{ კ-ს}$). ყურადღება მიაქციეთ, რომ მუდმივი შემადგენელის დროს ზედნადები ზარჯების მოქნილ ზარჯოთაღრიცხვაში რაც უფრო მაღალია გეგმიური მაჩვენებელი, მით უფრო დაბალია ზედნადები ზარჯების კოეფიციენტი. მაგალითად, ჩვენს შემთხვევაში, გეგმიური მაჩვენებელი 2'500 კაც-საათი ყოფილიყო, მაშინ კოეფიციენტი – 4,90 ლარს შეადგენდა ($12.250:2'500$) სამუშაო დროზე პირდაპირი დანახარჯების 1 კაც-საათზე; 4'000 კაც-

საათიანი გეგმიური მაჩვენებლის დროს – კოეფიციენტი 3,41 ლარის ტოლია (13'630:4'000) სამუშაო დროზე პირდაპირი დანახარჯების 1 კაც-სათზე.

მე-7 სქემაზე მოტანილი მონაცემები გამოიყენება გეგმიური ზედნადები დანახარჯების და გეგმიური კოეფიციენტების გამოსათვლელად.

ამ კოეფიციენტების დადგენის შემდეგ ის აღარ გამოიყენება წლის განმავლობაში ასევე ეს კოეფიციენტების არ იცვლება თვეების მიხედვით გამოშვების მოცულობის ცვლილების მიუხედავად. თუ გამოშვების ფაქტიურ მოცულობას გავითვალისწინებთ და კოეფიციენტის ყოველთვიურ კორექტირებას მოვახდეთ, ამით გვეკარგება წინასწარ დადგენილი კოეფიციენტის ერთ-ერთი უპირატესობა – შესაძლებლობა, ნაკეთობის თვითღირებულების გამოთვლისას თავიდან ავიცილოთ ამა თუ იმ თვის სპეციფიკური ფაქტორების გავლენა. გარდა ამისა მე-7 სქემაზე მოყვანილ მონაცემებს კონტროლის მიზნებისათვისაც იყენებენ – თვეების მიხედვით ცვლილებების ანალიზისას.

მაშასადამე:

საწარმოო ზედნადები ხარჯები, ჩვეულებრივ, საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში გამოითვლება, რათა მანამ განისაზღვროს ზედნადები ხარჯების შთანთქმის განაკვეთები პროდუქციისათვის, სანამ პროდუქცია მომხმარებლებზე გაიყიდება:

- ✓ ეს ნიშნავს, რომ საწარმოო ზედნადები ხარჯებისა და საქმიანობის დონეებისათვის უნდა გამოიყენონ საბიუჯეტო (გეგმიური) (ანუ მოსალოდნელი) მონაცემები (მანქანასაათები, კაცსაათები);
- ✓ მაშასადამე, საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის გამოთვლილი შთანთქმის განაკვეთები იქნება “წინასწარგანსაზღვრული” განაკვეთები;
- ✓ წინასწარგანსაზღვრული შთანთქმის განაკვეთი გამოითვლება შემდეგნაირად:

წინასწარგანსაზღვრული

გეგმიური ზედნადები ხარჯები

შთანთქმის განაკვეთი

საქმიანობის გეგმიური დონე

- ✓ წინასწარგანსაზღვრული შთანთქმის განაკვეთის მაგალითზე ნათლად ჩანს, რა განსხვავებაა მმართველობით და ფინანსურ აღრიცხვას შორის.
- ✓ ფინანსურ აღრიცხვაში ფაქტობრივი ზედნადები ხარჯების გამოსათვლელად ველოდებით საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებას. მმართველობით აღრიცხვაში კი ბევრი ინფორმაცია გვჭირდება წინასწარ (მაგ. გვჭირდება მომხმარებელს ვაცნობოთ ფასები). ამიტომ ბიუჯეტებს (საპროგნოზო შეფასებებს) ვიყენებთ იმის საჩვენებლად, თუ რა იქნება ჩვენი აზრით მომავალი დანახარჯები.

გეგმიური მაჩვენებელი. ზემოთ ავღინიშნეთ, რომ ზედნადები ხარჯების წინასწარ დადგენილი ნორმატიული კოეფიციენტის განსაზღვრის პროცესში ყველაზე რთულია გამოშვების სავარაუდო მოცულობის პროგნოზირებია. ამ მაჩვენებლებს გეგმიურს ანუ ნორმატიულს უწოდებენ. კომპანიათა უმეტესობაში გეგმიური მაჩვენებლების თვიური სიდიდე აიღება როგორც ერთ წელზე პროგნოზირებული სიდიდის ერთი მეთორმეტედი.

როგორც ზევით იყო აღნიშნული, გამოშვების გეგმიური მოცულობის სიდიდე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ზედნადები ხარჯების კოეფიციენტის სიდიდეზე. თუ განვიხილავთ უკიდურეს შემთხვევას, როცა ყველა არაპირდაპირ დანახარჯს მუდმივი ხასიათი აქვს, ასეთ შემთხვევაში ზედნადები ხარჯების კოეფიციენტი წლის განმავლობაში დაგეგმილი გამოშვების მოცულობის უკუპროპორციულად შეიცვლება. თუ ყველა არაპირდაპირი დანახარჯი მუდმივი არ არის, მაშინ დამოკიდებულება გამოშვების დაგეგმილ მოცულობასა და კოეფიციენტს შორის არც ისე მკაფიოდაა გამოკვეთილი. თუმცა უმეტეს შემთხვევებში ამ კავშირის მნიშვნელობის მოძებნა შესაძლებელია.

ამგვარად, ცალკეულ ნაკეთობაზე ზედნადები ხარჯების მიკუთვნებისას გამოშვების შეფასების გავლენა ძალზედ მნიშვნელოვანია.

ასე, რომ, უნდა დავიმახსოვროთ – ზედნადები ხარჯების წინასწარ დადგენილი კოეფიციენტები შედარებით ნაკლებია წლის განმავლობაში გამოშვების მოცულობის მაღალი შეფასების დროს, ვინაიდან მუდმივი ზედნადები ხარჯების ერთი და იგივე თანხა ნაკეთობათა მეტ რაოდენობაზე ნაწილდება და პირიქით.

7 . 12 . ზედნადები დანახარჯების შთანთქმის დანაკლისი / სიჭარბე.

ზედნადები დანახარჯების წინასწარ დადგენილი ნორმატული კოეფიციენტის გამოყენების დროს თვის განმავლობაში ფაქტიური დანახარჯების თანხა ხშირად განსხვავდება კოეფიციენტის მიხედვით დარიცხულისაგან. ასეთი სიტუაცია წარმოიშობა, როცა თვის განმავლობაში დანახარჯების ცენტრზე მიკუთვნებული არაპირდაპირი დანახარჯების ფაქტიური თანხა ან/და ფაქტიური გამოშვება თვის განმავლობაში, განსხვავებულია მათი შეფასებებისგან (გეგმებისაგან), რომლებიც კოეფიციენტის გამოთვლისას გამოიყენებოდა. თუ თვის განმავლობაში ნაკეთობაზე მიკუთვნებული არაპირდაპირი დანახარჯების შთანთქმული თანხა აჭარბებს მათ ფაქტიურ სიდიდეს, საქმე გვაქვს არაპირდაპირი დანახარჯების მიკუთვნების „სიჭარბესთან“.

თუ კი თანხა ნაკლებია ფაქტიურ სიდიდეზე, მაშინ არაპირდაპირი ხარჯების მიკუთვნების „დანაკლისთან“. კონტროლის მიზნებისათვის ზედნადები ხარჯების გადაჭარბება და დანაკლისი შეიძლება დაიყოს ხარჯვით და მოცულობით კომპონენტებად, რაც შემდეგ თავში იქნება განხილული.

სიმარტივის მიზნით ზედნადები ხარჯების „გადაჭარბება“ და „დანაკლისი“ არ იყო ნაჩვენები გატარებების სქემაზე (ნახაზი 6.2). ამ ანგარიშმა “საერთო სამეურნეო ხარჯების გადახრის” ანგარიშის სახელწოდება მიიღო. ჩანაწერები ამ ანგარიშზე “ზედნადები ხარჯების გამანაწილებელი” ანგარიშის დახურვის დროს წარმოებს. ვინაიდან “ზედნადები ხარჯების გამანაწილებელი” ანგარიშის დებეტში ფაქტიური არაპირდაპირი დანახარჯები გროვდება, ხოლო კრედიტში – “დაუმთავრებელი წარმოების” ანგარიშზე მიკუთვნებული ნორმატივით გაანგარიშებული თანხები, მისი საბოლოო სალდო “არაპირდაპირი დანახარჯების გადახრის ანგარიშზე გადააქვს, რაც ასახავს განსილულ პერიოდში არაპირდაპირი დანახარჯების ფაქტიურ და დარიცხულ თანხებს შორის სხვაობას. თუ ფაქტიური თანხა მეტია დარიცხულზე, არაპირდაპირი დანახარჯების მიკუთვნების დანაკლისია და აისახება “არაპირდაპირი დანახარჯების გადახრის” ანგარიშის დებეტში.

თუ ფაქტიური თანხა ნაკლებია დარიცხულზე, არაპირდაპირი დანახარჯების მიკუთვნების სიჭარბეა და ასახება “არაპირდაპირი დანახარჯების გადახრის” ანგარიშის კრედიტი.

მაგალითი:

თუ საწარმოში არაპირდაპირი დანახარჯების ფაქტიური თანხა (“საერთო სამურნეო ხარჯების” ანგარიშის დებეტი) 28'000 ლარის ტოლია, მაგრამ ზედნადები ხარჯების კოეფიციენტის საფუძველზე გათვლით ზედნადები ხარჯები დარიცხულია (მიკუთვნებულია) დაახლოებით 27'000 ლარის ოდენობით (“საერთო სამურნეო ხარჯების” ანგარიშის კრედიტი), მაშინ “საერთო სამურნეო ხარჯების” გამანაწილებელ ანგარიშს საბოლოო საღდომ უწევსა დებეტში – 1'000 ლარი, რაც 1'000 ლარის ხარჯების მიკუთვნების დანაკლისს ასახავს. გატარება, რომელიც “საერთო სამურნეო ხარჯების” გამანაწილებელ ანგარიშს ხურავს და მისი საბოლოო საღდომ არაპირდაპირი დანახარჯების გადახრის ანგარიშზე გადააქცის, შემდეგნაირად გამოიყერება (ლარებში):

დებეტი – “არაპირდაპირი დანახარჯების გადახრის ანგარიში”	1'000
კრედიტი – “საერთო სამურნეო ხარჯები”	1'000

ამ გატარების დაწვრილებითი დეტალები მოცემული იქნება შემდეგ თავში.

განსხვავებები ფაქტიურ და გეგმიური არაპირდაპირი დანახარჯების თანხებს შორის, მხოლოდ წინასწარ დადგენილი (ნორმატული) კოეფიციენტების გამოყენებისას წარმოიშობა. ასეთი განსხვავებები არ წარმოიქმნება ფაქტიური შედეგების მიხედვით (თვის, წლის) გამოთვლილი კოეფიციენტების გამოყენებისას, ვინაიდან ისინი არაპირდაპირი დანახარჯების ფაქტიურ თანხებსა და საქმიანობის ფაქტიურ მოცულობას ეფუძნებიან და არა მათ პროგნოზირებად სიდიდეებს.

7 . 13 . პრეგინირებული და თანმდევი პროდუქტები

7 . 13 . 1 . პრეგინირებული პროდუქტების თვითმდებულების გამოთვლა

კომბინირებული პროდუქტი ეწოდება ერთი პარტიის ნედლეულიდან ან ერთიდამავე საწარმოო პროცესში წარმოებულ ორ ან მეტ სხვადასხვა საბოლოო პროდუქტს. მრავალფეროვანი საბოლოო პროდუქტის კლასიკურ მაგალითად ითვლება მსხვილფეხა რქოსანი საქონლიდან მიღებული: ტყავი, სხვადასხვა ხარისხის ხორცი, ხორცის გაყინული კერძი, ცხოველებისათვის საჭმელი, სასუქები და სხვადასხვა ქიმიური პრეპარატები. სხვა თვალსაჩინო მაგალითად გამოგვადგება ნავთობგადამამუშავებელი და ცელულოზა-ქალალდის მრეწველობა.

საწარმოო პროცესში ნედლეული განსაზღვრულ მომენტამდე, გაყოფის წერტილამდე, ითვლება როგორც ერთიანი, მთლიანი. ამ წერტილის გავლის შემდეგ იდენტიფიცირდება სხვადასხვა საბოლოო პროდუქტი. საწარმოო პროცესის შემდგომ სტადიაზე დანახარჯები უკვე ცალ-ცალკე იანგარიშება თითოეულ საბოლოო პროდუქტზე. მაგალითად: საქონლის დაკვლის მომენტამდე მასზე გაწეული ხარჯები, საძოვრის შენახვის ხარჯები, სატრანსპორტო და სხვა ხარჯები მიეკუთვნება საერთოდ საქონელს (ჯოგს). ბოლოს კი ეს დანახარჯები უნდა გადანაწილდეს ამ საქონლიდან მიღებულ საბოლოო პროდუქტებზე.

კომბინირებული პროდუქტების თვითონირებულების შეფასებისას პრობლემაა ის, რომ ვთოვოთ განაწილებამდე, გაყოფის წერტილამდე გაწეული დანახარჯების, ყოველ კომბინირებულ პროდუქტზე მიკუთვნების მისაღები საფუძველი.

მოცემული პრობლემა ირიბი დანახარჯების დანახარჯთა ცენტრებზე მიკუთვნების პრობლემის მსგავსია. ორივე შემთხვევაში მიზანს წარმოადგენს კომბინირებული (საერთო) დანახარჯების წილის სამართლიანი განსაზღვრა. აღსანიშნავია, რომ ასეთი განაწილება არასოდეს აბსოლუტურად ზუსტად არ ასახავს ფაქტურ დანახარჯებს.

7 . 13 . 2 . რეალიზაციის ღირებულების შესაბამისად შეფასების გეორგი.

ამ პრობლემის გადაწყვეტის მიღებული მიღვომაა კომბინირებული დანახარჯების პროდუქტზე იმ პროპორციებით მიკუთვნება, როგორიც აქვს პროდუქტს გაყიდვების საერთო მოცულობაში გაყოფის წერტილის შემდეგ მასზე გაწეული დანახარჯების გამოკლებით.

მაგალითი:

იგნისში კომპანიამ გამოუშვა ორასი ერთეული “ა” პროდუქტი და სამასი ერთეული “გ” პროდუქტი. გაყიდვის მოცულობაში შეადგინა 2,000 ლარი. (10 ლარი “ა” პროდუქტის ერთეულისათვის) და 6,000 ლარი (20 ლარი “გ” პროდუქტის ერთეულისათვის). კომბინირებული საწარმოო დანახარჯები განაწილებამდე (გაყოფის წერტილამდე) იყო 3,000 ლარი. განაწილების შედეგ გაწეული საწარმოო და სავაჭრო ხარჯებიდან “ა” პროდუქტზე დაიხარჯა 600 ლარი და “გ”-ზე 1,500 ლარი. გაყიდვების მოცულობის მეთოდის შესაბამისად 3,000 ლარი კომბინირებული დანახარჯები ნაწილდება შემდეგი სახით:

კომბინირებული პროდუქტი	გაყიდვის დარღვეულება ლარი	გაყიდვის წერტილის შემდეგ გაწეული დანახარჯები	კალკულაცია (2 - 3)	თითოეულ პროდუქტზე მიკუთვნებული კომბინირებული დანახარჯები
1	2	3	4	5
“ა”	2,000	600	1,400	712 (1.4/5.9*3,000)
“გ”	6,000	1,500	4,500	2,288 (4.5/5.9*3,000)
ჯამი:			<u>5,900</u>	<u>3,000</u>

ამის შემდგომ ერთეულ პროდუქტზე მისაკუთვნებული დანახარჯი გაიანგარიშება:

	“ა” პროდუქტი	“გ” პროდუქტი
კომბინირებული დანახარჯები	712:200=3,56	2,288:300=7,63
დანახარჯები გაყოფის წერტილის შემდეგ	600:200=3.00	1,500:300=5.00
დანახარჯი ერთეულზე	<u>6.56</u>	<u>12.63</u>

7 . 13 . 3 . თავი 7 პროცესის თვითღირებულების გაანგარიშება.

თანმდევი პროცესი წარმოადგენს კომბინირებული პროცესის განსაკუთრებულ სახეს. თუ ხელმძღვანელობის გეგმებშია გამოუშვას განსაზღვრული პროპორციით “ა” და ”ბ” პროცესი, ან არსებული რაოდენობის ნედლეულიდან გამოუშვას მაქსიმალური რაოდენობის საბოლოო პროცესი, მაშინ ასეთი პროცესი ჩაითვლება კომბინირებულად, ამ ტერმინის ჩვეულებტივი გაგებით. თუ ხელმძღვანელობის მიზანია გამოუშვას მაქსიმალურად შესაძლებელი რაოდენობა “ა” პროცესისა, მაგრამ მისი წარმოქის პროცესში წარმოიშვა გარკვეული რაოდენობის “ბ” პროცესი, მაშინ “ა” პროცესი იქნება ძირითადი, “ბ” კი თანმდევი. მთავარი მიზანია არსებული რაოდენობის ნედლეულიდან იწარმოოს მაქსიმალური რაოდენობის ძირითადი პროცესი და შესაძლებელი თანმდევი პროცესი.

თანმდევი პროცესის თვითღირებულება გაიანგარიშება ისე, რომ მას მიეწერება ნულოვანი მოგება ე.ი. მას კომბინირებული დანახარჯები, მიეკუთვნება იმ მოცულობით, რომელიც ტოლია გაყიდვებიდან ამონაგებს გამოკლებული დანახარჯების ჯამური სიდიდე, გაწეული გაყოფის წერტილის შემდეგ. მთელი მოგება მიეკუთვნება ძირითად პროცესს. წინა მაგალითში თუ “ბ” პროცესის განვიხილავთ როგორც თანმდევს და არა კომბინირებულს, მასზე იქნებოდა მიკუთვნებული 3 000 ლარიდან 1 400 ლარი კომბინირებული დანახარჯები. ამდენად მოგება მისი რეალიზაციიდან იქნებოდა დაყვანილი ნულზე.